



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გიორგი შავდათუაშვილი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა,
ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სამართლის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზვიად როგავა,

პროფესორი

2020

გორი

ანოტაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება წარმოადგენს დანაშაულს, შესაბამისად ყველა ეს ქმედება დასჯადია. ერთ-ერთ გამონაკლის წარმოადგენს ქმედება, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, რომლის დროსაც პირი არ ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო. დანაშაულს, როგორც ქმედებას გააჩნია განვითარების სტადიები, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება კი შესაძლებელია დანაშაულის მომზადების, დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე. შესაბამისად დამთავრებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია. იმ შემთხვევაში თუ პირმა ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე მაგრამ მის ქმედებაში არის სხვა დანაშაულის ნიშნები, იგი დაისჯება ფაქტობრივად უკვე ჩადენი წინარე დანაშაულისათვის, მაგრამ განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულის გამო, რომელზეც მან ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. ქმედების, როგორც ნებაყოფლობით ხელის აღების კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტორს, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი თავიდა უნდა იქნეც აცილებული, სხვა შემთხვევაში ქმედება დასრულებული დანაშაულია. აღნიშნული ნორმა ქართულ სისხლის სამართალში წარმოადგენს კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მაგალითს, რომელიც წამახალისებელი ფუნქციის მატარებელია და მიზნად ისახავს არა პირის დასჯას და სასჯელის აღსრულებას, არამედ შესაძლებლობას ჩადენილის გამოსწორების და შესაბამისი სასჯელის აცილების. აღნიშნული მუხლი წარმოადგენს კონკრეტული პრის პერსონალური პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს. აღნიშნულ საკითხზე ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში უამრავი კვლევაა და ნაშრომია შექმნილი, აღნიშნულ ნაშრომით შევეცდები თემის ირგვლივ, როგორც ქართული ისე უცხოური წყაროებიდან ასევე სასამართლო პრაქტიკიდან საკითხის, როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფართოდ წარმოჩენას.

A n n o t a t i o n

Giorgi Shavdatuashvili

Voluntary confession of guilt

Any action provided for by the Criminal Code of Georgia is a crime, therefore all such actions are punishable. One of the exceptions is an act, voluntary refusal to commit crime, when a person is not punished for committing an act under the Criminal Code. Crime as an action has stages of development, voluntary refusal to commit crime can be during the stage of the preparation of crime, finished and unfinished attempts. Therefore, voluntary refusal of completed crime is impossible. If a person voluntarily refused to commit crime but other signs of a crime are in his action he will be punished for actually already committed previous crime but he will be absolved from responsibility for the crime he voluntary and finally refused to commit. For qualification of act, as voluntary renunciation the following factor has crucial importance, that unlawful result should be prevented, otherwise the action is a completed crime. This mentioned norm in Georgian criminal law is an example of the liberalization of legislation, which has an incentive function and aims not to punish a person and enforce a sentence, but the opportunity for expiation and avoid the corresponding punishment. The mentioned article is the basis for the exemption from personal liability of a particular person. Many researches and theses have been created on this issue in Georgian and foreign scientific literature, with this thesis I will try to present widely the issue, as a voluntary renunciation of crime purpose, both from Georgian and foreign sources, as well as from court practice.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი -----7

თავი I

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი და სამართლებრივი

შედეგი ----- 8 -12

1.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი ----- 8 - 10

1.2 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სამართლებრივი შედეგი ----- 11-12

თავი II

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სამართლებრივი

კვალიფიკაცია ----- 13-14

2.1 კვალიფიკაციის პირობები ----- 13-14

თავი III

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური და

სუბიექტური მხარე ----- 15-27

3.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური მხარე ----- 15-21

3.2 განზრახვა, როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების

სუბიექტური ელემენტი ----- 22-25

3.3 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური მხარე ----- 25-27

თავი IV

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, დანაშაულის მომზადების
და მცდელობის სტადიაზე ----- 28-33

4.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, დანაშაულის მომზადების
სტადიაზე ----- 28

4.2 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, დაუმთავრებელი მცდელობის
დროს ----- 29-31

4.3 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, დამთავრებელი მცდელობის
დროს ----- 31-33

თავი V

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებზე ნებაყოფლობით ხელის
აღების თავისებურებანი----- 34-40

5.1 დანაშაულებზე ნებაყოფლობით ხელის აღება, დანაშაულში თანამონაწილეობის
და თანამსრულებლობისას ----- 34-39

5.2 თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას,
აუცილებელი მოგერიების არსებობის შესაძლებლობა ----- 39-40

თავი VI

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი
----- 41-58

6.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი
ქართულ-გერმანულ სამართალში ----- 41- 42

6.2 უმოქმედობით ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი - 42 - 44

6.3 ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი უარგისი მცდელობისას და ე.წ. ხელშეშლილი მცდელობის დროს -----	44 - 48	
6.4 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შუალობითი ამსრულებლობის დროს -----	48 - 50	
6.5 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას ქმედითი მონაწილის საკითხი -----	50 - 51	--
6.6 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი, ხელის აღების სერიოზული მცდელობისას -----	51 - 52	
6.7 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი დანაშაულის პროვოკაციის დროს -----	52 - 55	
6.8 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ერთიან დანაშაულებში -----	56 - 57	--
6.9 დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება -----	57 - 58	
დასკვნა -----	59 - 60	
ბიბლიოგრაფია -----	61 - 62	

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დანაშაულთან ბრძოლის დროს სახელმწიფო კანონისმიერ დამსჯელობით და იძულებით ღონისძიებებთან ერთად იყენებს შედარებით რბილ, ლიბერალურ მიდგომებსაც, რაც სასჯელისა და სხვა იძულებითი ღონისძიებების დანიშვნის ან მისი დანიშვნის მუქარაში კი არ გამოიხატება, არამედ პირიქით, სისხლისამართლებრივი ზემოქმედების თავიდან აცილებას გულისმობს, რომელიც ერთის მხრივ პრევენციული ხასიათის შედეგიანი საშუალებაა თავიდან იქნას აცილებული დამთავრებული დანაშაული და მეორეს მხრივ აღნიშნული დამნაშავესათვის სასიკეთო შედეგების მომტანია, რალათქმუნდა თუ კანონმდებლის პირობას პირი ზედმიწევნით სწორად შეასრულებს.

ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში ვხვდებით „ წამახალისებე “ ნორმებს, რომელიც თავისი ბუნებით დამნაშავეთათვის ერთგვარი წახალისების საშუალება, ეს ნორმები ქართულ სამართლებრივ სისტემაში ორ ჯგუფადაა დაყოფილი, ნორმები რომელიც დანაშაულის დამთავრებამდე გამოიყენება და მეორე, რომელიც დანაშაულის დამთავრების შემდეგ გამოიყენება, ბოლოს ხსენებულ ნორმებს “პოსტკრიმინალური ნორმები” ეწოდებათ.

ამ ნაშრომის მიზანია დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებების თამოყრა და მისი ანალიზი , სამეცნიერო ნაშრომები. გამოკვლეული და შესწავლილი იქნება, როგორც ქართულ ასევე გერმანული ლიტერატურა, რომელიც ქართულ სისხლის სამართალზე არსებითი გავლენა აქვს, ამასთანვე ნაშრომში მოყვანილი იქნება ნებაყოფლობით ხელის აღების ყველა შესაძლებლობის საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომელიც გაჯერებული იქნება პრაქტიკული მაგალითებით და სასამართლო პრაქტიკით, ყოველივე აღნიშნულის თავმოდის მიზანია დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის და მისი მნიშვნელობის წარმოჩენა, ამასთანვე ნაშრომში შედარებული იქნება სხვადასხვა შეხედულებები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში.

ნაშრომში კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნება ნებაყოფლობით ხელის აღების კვალიფიკაციის პრობლემური საკითხები, საკითხები რომლებზეც სხვადასხვა აზრი არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში.

თავი I

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი და სამართლებრივი შედეგი

1.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი

დაუმთავრებელი დანაშაულების არსზე და პრობლემატიკაზე , უამრავი ნაშრომია შედგენილი სამეცნიერო თუ პრაქტიკული, მიუხედავად ამისა საკითხის ირგვლივ კვლავ წარმოებულმა ახალმა კვლევამ რაღაც ღირებული უნდა შექმნას.

ერთ-ერთი გერმანელი მეცნიერი, მართებულად აღნიშნავს რომ, როგორც პოეტი არ შეწყვეტს სიყვარულზე წერას, ასევე სისხლის სამართლის მეცნიერი უარს ვერ იტყვის იმ ამოცანის შესრულებაზე, რომელიც მის საგანში საკითხის ახლებურად გააზრებას ემსახურება.¹

ქართული სისხლის სამართლის სისტემაში პირვლად 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ჩდება ნორმები დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ , ამ კოდექსი მე-14 მუხლში აღნიშნული იყო, რომ მცდელობა , რომელიც მცდელის მიერ ნებაყოფლობით ბოლომდე არ იქნა მიყვანილი ისჯება, როგორც ის დანაშაული, რომელიც მის მიერ ფაქტობრივად იყო ჩადენილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1919 წლის რსფსრ სისხლის სამართალში თავიდანვე ჩამოყალიბებული არ ყოფილა აღნიშნული ნორმა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამი იყო ,, უკეთუ დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი იმის გამო, რომ ამ დანაშაულის ჩამდენმა ხელი აიღო მის დამთავრებაზე, სასამართლო სოციალური დაცვის ღონისძიებას გადაწყვეტს მხოლოდ იმ მოქმედებისათვის, რაც ფაქტობრივად უკვე შესრულებულია“.²

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ეს ის თემა, რომელზე მსჯელობა ათწლეულებს ითვლის და ასეც გაგებლდება მომავალში, რამეთუ აღნიშნული საკითხის ბოლომდე გაზრებისათვის აუცილებელია „მთლიანი სურათის“ ანუ თემის მნიშველდობის დანახვა სისხლის სამართლის სისტემისათვის, ამასთანავე, კანონმდებლის მიზნის, მისი დანიშნულების, და როგორც კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითის.

ამ თემის გარშემო არსებობს სამი ძირითადი თეორია, რომელთა მეშვეობითაც სისხლის სამართლის მეცნიერება განსაზღვრავს ნებაყოფლობით ხელის აღების არსს, ესენია: ეგრედწოდებული „ოქროს ხიდის“ იგივე ,, კრიმინალ-პოლიტიკური თეორია“,

¹ ხარანაული ლ., დისერტაცია, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა, თბილისი, 2013, გვ 17 (პირველ წყარო იხ. spendel.FS(1957),გვ..40.)

² წერეთელი.თ.დანაშაულის მოშზადება და მცდელობა.თბილისი1961.გვ.216

„წახალისების“ თეორია და „სასჯელის მიზნის“ თეორია³. სხვა მრავალ თეორიათა შორის აღნიშნულთა გამოყოფა იმითაა განპირობებული, რომ ამ თეორიებს უფრო მეტი მომხრენი ჰყავთ ვიდრე მოწინააღმდეგე, ზოგადად ამ თეორიათა მიზანს წარმოადგენს დასაბუთოს ფაქტი, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების დროს პირის დაუსჯელობა მიზანშეწონილია, ლოგიკურია და გამართლებული.

სწორედ ზემოდხსენებული ძირითადი მიზნის დასაბუთებისას, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების დროს პირის დაუსჯელობა მიზანშეწონილია და გამართლებული, **ასლემ ფოიერბახის** „კრიმინალ-პოლიტიკური“ თეორია ე.წ. (ოქროს ხიდის თეორია) ერთ-ერთი თვალსაჩინოა.

ასლემ ფოიერბახის „კრიმინალ-პოლიტიკური“ თეორიამ განავითარა მიდგომა, რო-ლის მიხედვითაც აუცილებელია გარკვეული პრივილეგიის მინიჭება, დამნაშავეს ქმედებისათვის, რომელიც თუმცა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ იგი ნებაყოფლობით უარს ამბობს მართლსაწინააღმდეგო შედეგზე, ანუ ამ თეორიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის საფთხე თავიდან იქნეს აცილებული, **ფოიერბახის** აზრით კი ეს საფთხე კომპრომისის გარეშე ვერ იქნება დაძლეული. ამ თეორიის დაკვირვებით ადვილი მისახვედრია, რომ ამ სისხლის სამართლის მუხლით კანონმდებელი გარკვეულწილად ცდილობს სახელმწიფოს მიერ „სადავეებიდან გაშვებული“ ვალდებულება, მოახდინოს დანაშაულის პრევენცია, დაიცვას მართლწესრიგი, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე და ჯამრთველობა და სხვა მნიშვნელოვანი სიკეთე, გარკვეულწილად დამნაშავეზე ლიბერალური კანონმდებლობის ამ შესაძლებლობით (ხელი აიღოს დანაშაულზე და თავიდან აირიდოს სასჯელი) „გადარჩინოს“. თუ კანონმდებლის მიზანი შესრულდა შედეგად ორი სიკეთეა სახეზე , ერთი ის, რომ დამნაშავე, რომელსაც შესაბამისი სასჯელი ელოდა კონკრეტული ქმედების გამო თავიდან იქნა აცილებული ანუ დამნაშავე ბრუნდება ლეგალურ პოზიციაზე და მისი დანაშაულებრივი პოზიცია შეცვლილია, მიმართულია გამოსწორებისაკენ, და მეორე მართლსაწინააღმდეგო შედეგი თავიდან-ნიქნება აცილებული, შესაბამისად ქმედების დასჯადობაც კარგავს თავის მნიშვნელობას რამეთუ მისი მიზანია დანაშაულის კვლავ ჩადენის პრევენცია, დამნაშავეს რესოციალიზაცია და რიაბილიტაცია. „წახალისების“ თეორიაც თავის თავში იმავე პოზიციას ამართლებს რასაც „ოქროს ხიდის“ თეორია , ამ თეორიის მიხედვით დამნაშავე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში კანონმდებლის მიერ უნდა წახალისდეს , რადგან იგი დანაშაულზე ხელის აღებით აღარ წარმოადგენს საზოგადოებისათვის სასიშროებას და შესაბამისად მისი დასჯა და რესოციალიზაციაც საჭიროებასმოკლებულია, ამდროს წინაპლანზე გადმოდის არა დაზარალებული და

³ ხარანაული ლ., დისერტაცია, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა, თბილისი, 2013, 321

სამართლიანობის აღდგენა არამედ თავად დამნაშავეს პიროვნება, როგორც მართლსაჯულების ობიექტის, რომელიც წახალისებას საჭიროებს.

დანაშაულებასთან ბძოლოს სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა იძულებითი მეთოდების გარდა, რაც სასჯელისა და სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიების დანიშვნის ან მისი დანიშვნის მუქარაში გამოიხატება, იყენებს დარწმუნების მეთოდებსაც, რომელიც დამნაშავესათვის სასიკეთო შედეგს იწვევს, ის თუ კანონით დათქმული პირობაშს შეასრულებს. დარწმუნების მეთოდი ე.წ. „წამახალისებელი“ ნორმებშია გამოხატული. „წამახალისებელი“ ნორმები სისხლის სამართალში ორი სახისაა: ერთი, რომელიც დანაშაულის დამთავრებამდე გამოიყენება, კერძოდ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის, და მეორე, რომელიც დანაშაულის დამთავრების შემდეგ გამოიყენება ე.წ. „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმა.⁴

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმებისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშია მოცემული. მაშასადამე, ეს უკანასკნელი გამოიყენება ცალკეული დანაშაულების მიმართ, რაზეც სისხლის სამართლის კანონში სპეციალურადაა მითითებული, ხოლო დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამოიყენება ნებისმიერი დანაშაულის მიმართ, სადაც ეს იურიდიულად შესაძლებელია. სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანამხად, „პირს არ დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებამდე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი“. ამ ნორმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, ისევე როგორც დაუმთავრებელი დანაშაულისას, არ გვაქვს დანაშაულებრივი შედეგი. თუმცა, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ დანაშაულის ჩამდენი თავადვე სპობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რითაც მთლიანად ქრება განხორციელებული ქმედების სოციალური საშიშროება.⁵

1.2 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სამართლებრივი შედეგი

⁴ იხ. დვალიძე ი, ჟურნალი „ალმანახი“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა გამომცემლობა, N19 თბილისი 2004 გბ.20.

⁵ იხ. დვალიძე ი, ჟურნალი „ალმანახი“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა გამომცემლობა, N19 თბილისი 2004 გბ.22.

ქართული სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ის დანაშაულზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღებს ხელს.⁶ რაც იმას გულისხმობს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტა გარანტიანა სასჯელის თავიდან აცილების თუ ეს დამნაშავის ნებაყოფლობითი მოქმედებით ხდება და ეს მოქმედება საბოლოოა.

ქმედების ნებაყოფლობითობა თავისთავში გულისხმობს დამნაშავის სუბიექტურ ნებას შეწყვიტოს მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა, აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე, რომელიც დანაშაულებრივი ქმედებას ახორციელებს თავისი ნებით (და არა სხვა ობიექტური მიზეზებით, როგორცა მაგალითად; სამართლადამცავთა თუ მოქალაქეთა ძალით დანაშაულის ფაქტის აღკვეთა.) იღებს გადაწყვეტილებას შეწყვიტონ მართლსაწინააღმდეგო ქმედება რითაც ის უკან იხევს თავისი მიზნის მიღწევის გზაზე და ექცევა კანონის ფარგლებში, თუ აღნიშნული უკან დახევა გამოწვეულია გარეგანი ფაქტორების იძულებით, მაშინ დამნაშავის ნება გამორიცხულია.

ხოლო ქმედებაზე საბოლოოდ ხელის აღება გულისხმობს, რომ დამნაშავემ არა იმ წუთიერად ქმედების განხორციელებისას უნდა თქვას უარი მის მიზანზე განახორციელოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არამედ ეს უნდა იყოს გააზრებოულად შეწყვეტილი მოქმედება, თუ პირი ქმედების განხორციელების სხვა დროისთვის გადადებს რათქმაუნდა მისი ქმედება ვერ მოექცევა ნებაყოფლობით ხელის აღების ჭრილში.⁷

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე, დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულის : დანაშაულის მომზადების და დაუმთავრებელი ან დამთავრებული მცდელობის სტადიებზე, აღნიშნულს ისიც მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი სწორედ, რომ დაუმთავრებელი დანაშაულების თავშია მოქცეული და შემადგენელი ნაწილია.

პროფესორი ოთარ გამყრელიძე თავის სახემძღვანელოში საკმაოდ კარგად განმარტავს საკითხს თუ რა მიზანი აქვს კანონმდებელს, დანაშაულებრივი საქმიანობის ნებაყოფლობით შეწყვეტა ქმედების სამართლებრივი შეფასებაზე გავლენას ვერ მოახდენს ამბობს პროფესორი. რამეთუ მოქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, ადამიანი მკვლელობის მიზნით ზეადმართულ დანას ხელს თავისი ნებით დაუშვებს ძრის, თუ მისდა უნებურად - გარეგანი ძალების ზემოქმედებით. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება. ამით კანონმდებელი დამნაშავეს უკან დახევის საშუალებას აძლევს.⁸ მამასადაძმე, სახელმწიფო მოწოდებულია დამნაშავეზე მოტივაციური ზეგავლენით

⁶ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 21, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

⁷ იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბილისი 2013, 254.

⁸ გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, 2013, გვ. 253

თავიდან აიცილოს სამართლებრივი სიკეთეთა ხელყოფა, სწორედ ამიტომ, სახელმწიფო მიზნად ისახავს, არ მოუჭრას უკან დასახევი გზა, არამედ, პირიქით, ცდილობს აუგოს მას ე.წ., ოქროს ხიდი“, რომლითაც მას თავიდან ააცილებს სისხლის სამართლის რეპრესიას.⁹

რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მეორე ნაწილს, რომელიც გვეუბნება რომ „პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულის წარმოადგენს.¹⁰ აღნიშნული გულისხმობს შემდეგს, რომ თუ პირის განზრახვა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი მაგრამ, მცდელობის სტადიაზე დამნაშავემ განახორციელა ისეთი ქმედებები, რომლებიც სხვა დანაშაულია პირი დაისჯება სხვა დანაშაულისთვის.

თავი II

ქმედების დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღებად კვალიფიკაციის პირობები

⁹ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწიფანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 319 .(პირველწყარო - წერეთელი (1961), გვ. 222).

¹⁰ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 21, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

2.1 კვალიფიკაციის პირობები

როგორც ზემოთვ ვისაუბრეთ დანაშულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხავს, პასუხისმგებლობას, მაგრამ აღნიშნული შედეგის დადგომამდე რიგი სუბიექტური და ობიექტური გარემოებებია გასათვალისწინებელი, ამ პროცეს კი ქმედების კვალიფიკაცია ეწოდება. იმისათვის, რომ აღნიშნული კვალიფიკაცია სწორად და რელევანტური იყოს ქმედების მიმართ აუცილებელია თვითონ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა და სწორი მისადაგება ქმედებისადმი, რათა ერი მხრივ არ მოხდეს იმ პირის დასჯა, რომელმაც ნამდვილად უკან დაიხია ქმედების ჩადენისას და მეორე მხრივი იმ პირის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება, რომელსაც საკუთარი ნებით და საბოლოოდ არ აუღია ხელი დანაშაულის დამთავრებაზე.

ქმედების შეფასებისას, არის ეს თუ არა ნებაყოფლობით დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღება აუცილებელია სახეზე გვქონდეს შემდეგი პირობები კუმულაციურად :

- ა) დანაშაულზე ხელის აღება აუცილებლად დამნაშავის ნებით უნდა ხორციელდებოდეს, ე. ი. **ნებაყოფლობითი** უნდა იყოს;
- ბ) დანაშაული ბოლომდე არ უნდა იყოს მიყვანილი, ე. ი. შედეგი არ უნდა განხორციელდეს ან საფრთხემ არ უნდა მიიღოს დასრულებული სახე;
- გ) დანაშაულზე ხელის აღება საბოლოო ხასიათის უნდა ატარებდეს;
- დ) დანაშაულზე ხელის აღება ობიექტურად უნდა არსებობდეს და ნებაყოფლობითი ხელის აღებისათვის საკმარისი არ არის დამნაშავის წარმოდგენაში მისი არსებობა.¹¹

დასახელებული **ოთხი ძირითადი პირობა** განსაზღვრავს დანაშაულზე ხელის აღების საკითხს, რაც იმას გულისხმობს, რომ სუბიექტი არ გათავისუფლდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ ოთხივე პირობა კუმულაციურად არ იქნება სახეზე.¹²

ზოგიერთი გერმანელი ავტორი ნებაყოფლობით ხელის აღების ისეთ წინაპირობებზეც მიუთითებენ, როგორც არის, მაგალითად, ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის

¹¹ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 325

¹² იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 326.

აუცილებელი ქცევა, რომელიც გამოიხატება ხელის ამღების ენერგიულ, სხეულებრივი მოძრაობებში, ამიტომ მათი თქმით, უბრალო შინაგანი ფსიქიკური დამოკიდებულება საკმარისი არ არის ნებაყოფლობით ხელის ადებისათვის. რათქმაუნდა ეს არ გამოირიცხავს უმოქმედობას, როგორც ნებაყოფლობით ხელის ადებისთვის აუცილებელ ქცევას, რასაც ძირითადად ადგილი აქვს დაუმთავრებელი მცდელობის დროს.¹³

აღნიშნული პირობების არსებობის დადგენისათვის აუცილებელია მივყვეთ იმ ძირითად მეთოდს რასაც კვალიფიკაციის სტრუქტურა ეწოდება და დადგინდეს დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური მხარე, რომელიც სწორედ, რომ განსაზღვრავს პირის მიერ დანაშაულის დასრულებაზე ნამდვილად მოხდა თუ არა უარის თქმა და რამდენად საბოლოო და ნებაყოფლობითი იყო აღნიშნული.

თავი III

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადების ობიექტური და სუბიექტური მხარე

¹³ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 326.

3.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების

სუბიექტური მხარე

სსკ-ის 21-ე მუხლის მიხედვით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური მხარე „ნებაყოფლობითობაში“ ვლინდება ანუ დამნაშავის სუბიექტურ განცდაში, ცოდნასა და სურვილში არ დამთავროს დაწყებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ზუსტი დეფინიციას ნებაყოფლობითობის ამ ჭრილში კანონმდებელი არ იძლევა.

საქმე ეხება „ნებაყოფლობითობას“, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს, ამ ნიშანზე მსჯელობის დროს სასამართლო პრაქტიკასა და სისხლის სამართლის დოგმატიკაში ერთმანეთისაგან განსახვავებენ **ფსიქოლოგიურ** და **ნორმატიულ** შეფასებებს, რომელზე მსჯელობის დროსაც მეცნიერთა ნაწილი ფსიქოლოგიურ შეფასებას ანიჭებს უპირატესობას, ნაწილი კი თვლის, რომ ნორმატიული შეფასება ყოვლისმომცველია. დღეისათვის ერთიანი პოზიცია ამ საკითხზე არ არსებობს, აღნიშნული გერმანული სამართლის დოგმატიკასაც ახასიათებს.¹⁴

ფსიქოლოგიური შეფასების თანახმად, დანაშაულზე ხელის აღებას ნებაყოფლობითი ხასიათი გააჩნია მაშინ, როდესაც დამნაშავეს შინაგანად არ სურს დანაშაულის ჩადება. მაშასადამე, დამნაშავე მოქმედებს ფსიქოლოგიური იძულების გარეშე. პირიქით, ნებაყოფლობითობას არ აქვს ადგილი მაშინ, როდესაც რაღაც გარემოებები დამნაშავეზე იმდენად ძლიერ სულიერ გავლენას ახდენს, რომ მას ისღა დაღჩენია, შეწყვიტოს დანაშაულებრივი საქმიანობა. რაც **შეეხება ნორმატიულ** შეფასებას, იგი ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივებს არა მარტო ფსიქიკურზე, არამედ ასევე შეფასებაზე დაყრდნობით განიხილავს.¹⁵

ჩემი აზრით აღნიშნული უნდა განიმარტოს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ქმედების, როგორც სუბიექტური ნიშანი, რამეთუ აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი სუბიექტის გონებაში ყალიბდება. ნებაყოფლობითობა სახეზეა მაშინ თუ, სუბიექტი ფიქრობს, რომ მას შესაძლებლობა აქვს დაწყებული დასრულოს მაგრამ, სურს არ მიყვანოს ბოლომდე დანაშაული.

¹⁴ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწვდვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 326.

¹⁵ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწვდვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 326 - პირველ წყარო - იხ . Roxin, AT (2003), გვ. 591

ზემოთ აღნიშნულ პოზიციას იზიარებს ქართველი თეორეტიკოსი თამაზ დონჯაშვილიც და ამბობს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვაქვს სახეზე მაშინ, როდესაც სუბიექტს რეალურად შესაძლებლობა აქვს ბოლომდე მიიყვანოს განზრახვა, მაგრამ იღებს გადაწყვეტილებას ხელი აიღოს მასზე,¹⁶

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სუბიექტს თუმცა ფაქტობრივად არა აქვს შესაძლებლობა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული, მაგრამ თვითონ დარწმუნებულია, რომ აქვს ამის შესაძლებლობა.¹⁷

„ნებაყოფლობითობის“ ცნების ფსიქოლოგიური ახსნა ფრანკს ეკუთვნის. ფრანკის მიხედვით, დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს მაშინ, როდესაც იგი ეყრდნობა ავტონომიურ მოტივებს.¹⁸ ფრანკის ფსიქოლოგიურ თეორიას ეთანხმებიან ქართველი თეორეტიკოსებიც ქეთევან მჭედლიშვილის, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი კომენტარებში გაზიარებულია მოსაზრება, რომ ნებაყოფლობითობის არსის გაგებისათვის საჭიროა ამ ცნების ავტონომიური და ჰეტერონომიური კრიტერიუმით განსაზღვრავ რაც ფსიქოლოგიური გაგების თეორის საფუძველია და გულისხმობს შემდეგს, რომ დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობითია მაშინ, როდესაც პირის ავტონომიურ გადაწყვეტლებას ემყარება და არა რაიმე ობიექტურ შემაფერხებელ გარემოებებს, რომელიც ხელის შემშლელია დანაშაულის დამთავრებისთვის. ისეთი შემთხვევა როდესაც დამნაშავე პასუხისმგებლობას გაურბის და სასჯელის შიშით იღებს ხელს დანაშაულის დამთავრებაზე აღნიშნული არ ჩიათვლება მის ავტონომიურ გადაწყვეტილებად და შესაძლებელია პასუხისმგებლობის საკითხის დასმაც.¹⁹

მაშასადამე, როდესაც დამნაშავე ამბობს: „მე არ მსურს ამის მიღწევა, მაშინ როდესაც მე ეს შემიძლია“ სწორედ ამ შემთხვევაში შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ სახელზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ამბობს ფრანკი თავის ფსიქოლოგიურ განმარტებაში. ე. ი. როდესაც დამნაშავე ამბობს „ მე არ შემიძლია მიზნის მიღწევა, მაშინ, როდესაც მე მსურს იგი “ , „ნებაყოფლობითობის“ ასეთი გაგება სისხლის სამართლის ლიტერატურაში უარყოფილია, რადგან ფრანკის ფორმულის მეორე ნაწილიდან უფრო

¹⁶ იხ. დონჯაშვილი .თ საქართველოს სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილის კომენტარები . თბილისი 2002 წ. (შოთა ფაფიაშვილის რედაქციით). გვ.230

¹⁷ იხ. დონჯაშვილი .თ საქართველოს სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილის კომენტარები . თბილისი 2002 წ. (შოთა ფაფიაშვილის რედაქციით). გვ.230

¹⁸ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 327 –(პირველ წყარო - იხ. Jäger (1996), გვ. 21)

¹⁹ იხ . მჭედლიშვილი - ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. 2011. გვ. 98

მიზანს აცდენილი მცდელობა გამომდინარეობს, სადაც გამორიცხულია, როგორც ნებაყოფლობითი, ასევე იძულებითი ხელის აღება.²⁰

„ ნებაყოფლობითობის “ ცნების ფსიქოლოგიური განმარტების გავლენა ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც გვხვდება, ნებაყოფლობით ხელის აღების ავტონომიური მოტივების კარგი მაგალითია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ განხილული საქმე.

გადაწყვეტილებაში სასამართლო კოლეგია მიუთითებს, რომ პირს, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა ბოლომდე მიეყვანა დანაშაული იმის ფონზე, რომ მას ობიექტური ხელის შემშლელი გარემოებები არ ჰქონდა უნდა ჩაითვალოს, როგორც დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

სასამართო გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ შემდეგ : რომელიც შეეხება დანაშაულს გათვალისწინებული საქართველო სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა ,19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

„ პალატას არ აქვს საფუძველი, ეჭვი შეიტანოს ბრალდებულის ჩვენებაში, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა, რომ შემთხვევის დროს ადგილზე მათ გარდა იმყოფებოდა სხვა პირი ან არსებობდა სხვა გარემოება, რის გამოც ბრალდებულს ხელი შეემალა განზრახვის სისრულეში მოყვანაში, ბრალდების მხარე უთითებს, რომ ბრალდებულმა დაზარალებულის დაჭრის შემდეგ ჩაკეტა სახლის კარი, გადაძვრა ფანჯრიდან და უგონოდ მყოფი დაზარალებული, რომელიც ეგონა გარდაცვლილი დატოვა სისხლის გუბეში. პალატა თვლის, რომ საფუძველსაა მოკლებული ბრალდების მხარის აღნიშნული პოზიცია, რადგან გაუგებარია პირს რომელსაც ეგონა რომ ჩაიდინა მკვლელობა და სურდა დაზარალებულის სიკვდილი, რომელსაც ჩაკეტილ კარს შიგნით გარკვეული ხნის განმავლობაში ვერავინ იპოვიდა, რატომ უნდა დაერეკა „112-ში“ და ეცნობებინა მომხდარი დანაშაულის და მისი ჩადენის ადგილის შესახებ. “

„მეუღლის დაჭრის შემდეგ ბრალდებულის ქმედება კი ადასტურებს, რომ მას ამოძრავებდა უგონოდ მყოფი მეუღლის, რომელიც ჯერ კიდევ სუნთქავდა და იყო ცოცხალი გადარჩენის სურვილი და მისთვის დროული დახმარების აღმოჩენის მიზნით, განახორციელა სატელეფონო ზარი „112-ში“.

„გარდა ზემოაღნიშნულისა აღსანიშნავია, რომ ბრალდებულმა აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და მიუთითა იმ ადგილზე, სადაც მან მეუღლეს მიაყენა დაზიანებები,

²⁰ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწვლვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 327 - პირველ წყარო - იხ. Jäger (1996), გვ. 21.

ასევე მისი მონაწილეობით და მითითებით პოლიციის თანამშრომლების მიერ ნანახი და ამოღებული იქნა დანაშაულის ჩადენის იარაღი - დანა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას და მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ბრალდებულის მიერ მკვლელობის დამთავრებაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას.²¹

ზემოთ მოყვანილი სასამართლო გადაწყვეტილება ასევე კარგი მაგალითია ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივისა, რომელიც ქმედების სუბიექტური მხარის ერთ-ერთი ელემენტია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების, როგორც ნებაყოფლობით ხელის აღების კვალიფიკაციისას. ამ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივი გახდა შეცოდება, ამსრულებელს შეეცოდა დაჭრილი მეუღლე და გადაარჩინა სიკვდილს. აღნიშნული საკითხის, ნებაყოფლობით ხელის აღებისას მოტივის დადგენის და მისი მნიშვნელობის შესახებ ქვემოთ უფრო ვცლად ვისაუბრებ.

ზოგიერთი მეცნიერი „ნებაყოფლობითობის“ სფეროს გასამიჯნად გადამწყვეტ მომენტად დამნაშავის დანაშაულებრივ ინტერესს მიიჩნევს. მათ მიაჩნიათ, რომ ნებაყოფლობითობა სახეზეა მაშინ, როდესაც უკან დამხვევს კონკრეტული ქმედება და ასევე შედეგი კვლავ აინტერესებს, თუმცა იგი თავისი ინტერესებისგან დისტანცირდება. პირიქით „არანებაყოფლობითობას“ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც უკვე დამხვევისათვის ქმედება ან თავად მოსალოდნელი შედეგი, როგორც ასეთი, უინტერესო ხდება.²² მაგრამ ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირი, რომელიც ნებაყოფლობით გააზრებულად იღებს დანაშაულის ბოლომდე მიაყვანაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას, სუბიექტურად მას გაზრებული უკვე აქვს, რომ მისი განზრახვა ბოლომდე მიყვანა დანაშაული ნაკლებ მნიშვნელოვანია მის მიერ წარმოშობილ ახალ მიზანზე „უკან დახვევის“ და თავიდან აიცილოს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაბამისად ზემოთხსენებულ მოსაზრებაზე შესაძლებელია შედავება.

„ნებაყოფლობითობის“ ცნების ნორმატივისტულ ახსნას გერმანელ მეცნიერს კლაუს როქსინი ცდილობს. დანაშაულზე ხელის აღებას ნებაყოფლობითი ხასიათი უნდა ჰქონდეს მაშინ, როდესაც დამნაშავეს, მაგალითად, ქურდობის დროს კონკრეტული მიზეზის გარეშე, მოულოდნელად ძლიერი შიში შეიპყრობს და გაიქცევა.²³ როქსინის შეხედულება, როგორც ჩანს უშუალო კავშირშია „სასჯელის მიზნის თეორიასთან“ სადაც იგი საკითხს

²¹ იხ. თბილისის საპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე № 330100119003176657, საქმე № 1ბ/178-20) გვ. 9 ელ.წყარო - (<http://ecd.court.ge/>)

²² იხ. ხარანაული ლ. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 327 - პირველ წყარო - იხ. Jäger (1996), გვ. 22.

²³ იხ. ხარანაული ლ. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 327 - პირველ წყარო - იხ. Jäger (1996), გვ. 23-24.

შემდეგნაირად წამოწევს. კერძოდ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არის ლეგალურობაში დაბრუნების სურვილის გამოხატულება. აღნიშნულ თეორიას არ იზიარებენ ქართველი თეორეტიკოსები და მიუთითებენ, რომ ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავე სამომავლო პასუხისმგებლობას გაურბის და სასჯელის შიშით იღებს ხელს დანაშაულის დამთავრებაზე აღნიშნული არ ჩიათვლება მის ავტონომიურ გადაწყვეტილებად და შესაძლებელია პასუხისმგებლობის საკითხის დასმაც.²⁴

თეორეტიკოსი ქ.მჭედლიშვილის ამ მოსაზრების (ისეთი შემთხვევა როდესაც დამნაშავე სამომავლო პასუხისმგებლობას გაურბის და სასჯელის შიშით იღებს ხელს დანაშაულის დამთავრებაზე აღნიშნული არ ჩიათვლება მის ავტონომიურ გადაწყვეტილებად და შესაძლებელია პასუხისმგებლობის საკითხის დასმაც) კარგი მაგალითია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში - სსკ) 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები. სადაც დაცვის მხარე ითხოვდა ქმედებაზე კვალიფიკაციის შესცვლას სსკ-ის 21 მუხლის ფარგლებში, მოსამართლის მ.კვირიკაშვილი მსჯელობას დაცვის მხარის მოთხოვნაზე შეიცვალა კვალიფიკაცია 21-ე მუხლის შესაბამისა შემდეგ წარმართავს და განუმარტავს მხარეს რომ „ 3.11. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ცალსახად დადასტურდა ელ---ას მიერ მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენა, ქმედების სამართლებრივი შეფასებისას, სასამართლო მართებულად მიიჩნევს პასუხი გასცეს დაცვის მხარის მიერ, ალტერნატივის სახით შეთავაზებულ ვერსიას ბრალდებულის ქმედების საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის (დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება) ფარგლებში მოქცევის თაობაზე. სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებამდე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი“. აღნიშნული ნორმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, ისევე როგორც დაუმთავრებელი დანაშაულისას, არ ვაქვს დანაშაულებრივი შედეგი. თუნდაც, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ დანაშაულის განმახორციელებელი თავადვე სპობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რითაც მთლიანად ქრება განხორციელებული ქმედების სოციალური საშიშროება. ამდენად, დანაშაულის დამთავრებამდე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის აუცილებელია **ორი პირობის არსებობა: ნებაყოფლობითობა და საბოლოობა.** ადამიანის ნებაყოფლობით მოქმედებას კი მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მის მიერ დასახული მიზნის მიღწევა მიმდინარეობს მისი სურვილის შესაბამისად. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში, ელ---
-----ამ მხოლოდ მას შემდეგ გადასცა მოპარული მობილური ტელეფონი პატრონს, რაც იგრძნო, რომ მისი დანაშაულებრივი ქმედება არ დარჩენილა სხვა

²⁴ იხ . მჭედლიშვილი - ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. 2011. გვ. 98

პირთათვის შეუმჩნეველი, რის გამოც, სასამართლო ამ უკანასკნელის ქმედებას აფასებს, როგორც გარეგანი ფაქტორების იძულების შედეგად განხორციელებულს, რაც ავტომატურად გამორიცხავს ადამიანის თავისუფალი ქცევას.²⁵

„ნებაყოფლობითობის“ ცნების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს მოტივს და მიზანს, რომლის საფუძველზეც შემდგომ ხორციელდება დამნაშავის მხრიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და მისი ქმედების ბუნების ტრანსფორმირება, გაკეთილშობილება. ვფიქრობ უკვე ზემოთ ჩამოთვლილ ძირითად ასპექტებთან ერთად განსაკუთრებით დიდი გავლენა ქმედების „ნებაყოფლობითობის“ დადგენაში სწორედ, რომ მოტივსა და მიზანს ენიჭება, რამეთუ ასეთ დროს დამნაშავის მოტივაცია ხელი აიღოს დანაშაულზე უამრავი შეიძლება იყოს ესენია: სიბრალურის გძნობა, ღვთის შიში და სხვა ადამიანური ფაქტორები, კეთილშობილი მოტივები, რომლებიც სწორედ, რომ ქმედების სუბიექტურ მხარეზე ახდენენ გავლენას და შესაბამისად შემდგომში მოტივებად და მიზნებად შეიძლება იქცნენ, დანაშაულზე ხელის აღების ნებაყოფლობითობისას. მიზნით დაფუძნებული ნებაყოფლობითობის მაგალითად მოვიყვან შემდეგს, დაზარალებულისაგან გარკვეული თანხის მიღების სანაცვლოდ დამნაშავე უარს ამბობს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. ამ შემთხვევაში ნათელია, რომ პირი ნებაყოფლობით იღებს დანაშაულის დამთავრებაზე ხელს როცა მას შეეძლო ბოლომდე მიეყვანა დანაშაული, ამ შემთხვევაში დამნაშავის ნებაზე მოქმედებს მიზანი, მიიღოს ფული.

არის ისეთი შემთხვევები როდესაც დამნაშავის ნებაზე, ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე ზეგავლენას ახდენს დაზარალებულის ან მესამე პირის მხრიდან გაკეთებული დაპირებები დანაშაულის შეწყვეტის სანაცვლოდ. ასეთ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევა და პასუხისმგებლობა გამორიცხულია თუ რათქმაუნდა სახეზე არ გვაქვს სხვა თანმდევი დანაშაული, რომელზეც დამნაშავეს ნებაყოფლობით ხელი არ აუღია და რომლის გამოც დამნაშავე აგებს პასუხს. მაგალითისათვის ა. შეეცადა ბ.-ს გაუპატიურებას. ამ მიზნით იგი თავს დაესხა ბ.-ს და ძალადობის მუქარით მოსთხოვა დანებება. ბ-მ უთხრა ა-ს, რომ ორსულად იყო და არ დაემყარებინა სქესობრივი კავშირი, ამის სანაცვლოდ ბ. გარკვეულ თანხა შესთავაზა ა.-ს. ამ უკანასკნელმა გამოართვა თანხა ბ.-ს და იქაურობას გაშორდა.²⁶

აღნიშნულ მაგალითში დამნაშავის ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, რამეთუ მას შეეძლო დაზარალებულის შეთავაზების უგულვებელყოფა და მასზე ძალადობა, მაგრამ შეთავაზების სანაცვლოდ დამნაშავე უარს ამბობს დანაშაულის დასრულებაზე და უბრუნდება ლეგიტიმურ პოზიციას, დაპირებით

²⁵ იხ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №-1----18) გვ. 13-14 ელ.წყარო - (<http://ecd.court.ge/>)

²⁶ იხ.ტურავა (2013), ტესტი: 185, 187, გვ. 477-478.

დაფუნქციონირებული ნებაყოფლობითობა ძალიან გავს ზემოთ უკვე ხსენებულ მიზნით დაფუნქციონირებულ ნებაყოფლობით ხელის აღებას.

დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური მხარის კიდევ ერთი აუცილებელი პირობა **საბოლოობა**, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამნაშავე არა დროებით არამედ სამუდამოდ უარს განაცხადებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. შესაბამისად იგი კვლავ მოქცეულია ლეგიტიმურ ჩარჩოებში და მისი დასჯა მიზანშეუწონელი ხდება, აღნიშნულს თუ დავაკვირდებით შეგვიძლია პარალელი გავაღვალოთ „სასჯელის მიზნის თეორიასთან“ რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ . „სასჯელის მიზნის თეორიას“ ისევე, როგორც საბოლოობის პირობას მივყევართ სასჯელის, როგორც დამსჯელობითი ღონისძიების მიზანშეუწონლობასთან, როდესაც სახეზეა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევა.

3.2 განზრახვა, როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური ელემენტი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დადგენისას მნიშვნელოვანია **განზრახვის**, როგორც ქმედების სუბიექტური მხარის შემადგენელი ნაწილის გამოკვეთა, აღნიშნულის აუცილებლობა ლოგიკიდანაც გამომდინარეობს, რადგან დანაშაულზე ხელის აღება დაფუნქციონირებულია დამნაშავის გამიზნულ ქმედებაზე ხელი აიღოს დანაშაულის დამთავრებაზე რაც საბოლოოდ ფორმირდება, როგორც განზრახვა.

აღნიშნულის კარგ მაგალითად გამოდგება თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ნებაყოფლობით ხელის აღებისას აუცილებელია სწორედ ამ განზრახვის არსებობა (ნებელობითი განზრახვა ხელი აიღო დანაშაულზე) და არა სხვა გარეშე ფაქტორების არსებობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 113რძიმა -19-109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ოჯახის წევრის მიმართ,

ორი ან მეტი პირისა, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.²⁷

5.1. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დაცვის მხარის მიერ დასკვნით სიტყვაში ასახულ არგუმენტებზე, რომლის თანახმადაც, მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ან/და გ----- ს-----ის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში ქმედების გადაკვალიფიკაცირებას ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა ,21,120-ე მუხლით. სასამართლოს აღნიშნავს, რომ ქმედების სამართლებრივი შეფასება - ბრალდებულის ქმედებისათვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭება სწორედ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტების შესაბამისად, სასამართლოს ვალდებულებაა. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულის ქმედების დაკვალიფიკირება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111 ,19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით სამართლებრივად მართებულია შემდეგ გარემოებათა გამო.²⁸

5.2. ბრალდებულის ადვოკატმა მიუთითა, რომ გ----- ს-----ემ დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი, ვინაიდან ქმედების განხორციელების დროს გაანალიზა, რომ შეცდომას უშვებდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი ქმედება დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, ბრალდებულს შესაძლოა ჩაედინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა ,21,120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და არა განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ გ----- ს-----ემ ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან შეწყვიტა გაზის გაშვება და აღადგინა გადაჭრილი გაზის მილი, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულებს არ მიუღიათ ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, იგი უნდა გამართლდეს წარდგენილ ბრალდებაში.²⁹

5.3. სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის 15 კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.³⁰

²⁷ იხ. თბილისის საქმეჯო სასამართლოს გადაწყვეტილება - საქმე №1/923-19.

²⁸ იხ. თბილისის საქმეჯო სასამართლოს გადაწყვეტილება - საქმე №1/923-19.

²⁹ იხ. თბილისის საქმეჯო სასამართლოს გადაწყვეტილება - საქმე №1/923-19.

³⁰ იხ. თბილისის საქმეჯო სასამართლოს გადაწყვეტილება - საქმე №1/923-19.

5.4. სასამართლო განმარტავს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ნიშნავს, თუ პირმა დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით (საკუთარი სურვილით) და საბოლოოდ აიღო ხელი, განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად იქნა დადასტურებული, რომ 2-----ერს, გ-----ს-----ე ნამდვილად იყო მისული, ყოფილი მეუღლის - მ-----ის საცხოვრებელ სახლთან, სადაც გადაჭრა გაზის მილი, მას შეუერთა მის მიერ მიტანილი მილი და შეუშვა გაზი მ-----ის საცხოვრებელ ბინაში. დაზარალებულების ჩვენებებით დადგენილ იქნა, რომ მათ გაეღვიძათ, იგრძნეს გაზის სუნი, რომელიც ბინაში შესასვლელი კარიდან შედიოდა, შემდგომ კი მ-----ემ ანთო შუქი და გამოიძახა საპატრულო პოლიცია. შესაბამისად, სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამო ვერ შეძლო გ-----ს-----ემ განზრახული ქმედების სისრულეში მოყვანა.³¹

5.5. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის ამგვარ განმარტებას, რადგან მსჯავრდებულის მხრიდან დანაშაულის შეწყვეტა გამოწვეულია არა ნებაყოფლობით, არამედ დაზარალებულების აქტიური მოქმედებებით (შუქის ანთებით, საპატრულო პოლიციის გამოძახებით და სხვა). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ქმედების ჩადენის ობიექტურ ხელის შემშლელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს დაზარალებულების მხრიდან აქტიური მოქმედება შუქის ანთება და საპატრულო პოლიციის გამოძახება, რამაც ხელი შეუშალა გ-----ს-----ეს თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანას. სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის არგუმენტს ქმედების საქართველოს სსკ-ის 11პრიმა,21,120-ე მუხლით კვალიფიკაციის თაობაზე და განმარტავს, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ გვაქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, სასამართლო მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას დამატებით იმსჯელოს გ-----ს-----ის პასუხისმგებლობაზე საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.³²

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტურ ელემენტს ნებელობას სწორედ, რომ ხელის აღების განზრახვა აკლია ანუ ამ შემთხვევაში დამნაშავეს არ გასჩენია მიზანი ხელ შეეწყვიტა დანაშაული და დაბრუნებულიყო ლეგალურ საზღვრებში არამედ მას უბრალოდ ხელი შეეშალა ქმედების განხორციელებაში რის გამოც იძულებულუ გახდა შეეწყვიტა აღნიშნული.

დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღებაში „მიზანს“, თავდაპირველად, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, მაგრამ 1982 წელს გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მის

³¹ იხ. თბილისის საქმეჯო სასამართლოს გადაწყვეტილება - საქმე №1/923-19.
³² იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება - საქმე №1/923-19.

მიერ გამოტანილ განაჩენში მიზანი, როგორც ხელის აღების სუბიექტური ელემენტი, მიუთითა.³³

აღსანიშნავია ის, რომ „ნებაყოფლობითობა“ პრინციპულად ითვალისწინებს ხელის აღების განზრახვას. თუმცა, შესაძლებელია, ნებაყოფლობით ხელის აღებას ასევე, განზრახვის გარეშეც ჰქონდეს ადგილი. ამ აზრის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითი: ა., რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ცოლის მოკვლა, საწამლავი შეურია საჭმელში. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ა. სამზარეულოში დაბრუნდა, ნახა, რომ საჭმელი მის ცოლის გარდა, მის შვილსაც ეჭამა. შემფოთებულმა ა.-მ მაშინვე სასწრაფო დახმარება გამოიძახა, რათა მისი შვილი გადაერჩინა. ამასთან, მისთვის ნათელი იყო, რომ ექიმი მის ცოლსაც გადაარჩენდა, მაგრამ იგი ბავშვის სიკვდილს სხვანაირად ვერ აიცილებდა თავიდან. ა.-ს ქმედება, რომელიც მისი ცოლის გადარჩენისკენ იყო მიმართული, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. ამრიგად, როდესაც ისეთ შემთხვევებს აქვს ადგილი, რომლებშიც დამნაშავე დანაშაულზე ხელის აღების დროს ნებაყოფლობით და ამავე დროს, პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, შესაძლებელია, გამოიზნა, როგორც ასეთი, არ წარმოადგენდეს „ნებაყოფლობითობის“ აუცილებელ პირობას.³⁴

საბოლოოდ, შეიძება ითქვას, რომ განზრახვა ცხადყოფს, რომ მასაც აშკარა გავლენა და მნიშვნელობა აქვს დამნაშავეს ქმედების სუბიექტურ მხარეზე, იმ დროს როდესაც დამნაშავე ნებაყოფლობით ხელს იღბს დანაშაულის დამთავრებაზე.

3.3 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური მხარე

ქმედება ეს ის სიტყვა, რომელიც მამოძრავებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მეხუთე ნაწილის, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება აგრეთვე იმას, ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებისათვის ყველაფერი

³³ იხ. ხარანაული ლ. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 332 - პირველ წყარო - იხ. Boß (2002), გვ. 170.

³⁴ იხ. ხარანაული ლ. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 333 - პირველ წყარო -იხ. Weinhold (1990), გვ. 149-152.

გაკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი” მუხლის ამ ქვეპუნქტით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება არის ქმედება, ხოლო ქმედება შეიძლება იყოს ობიექტურად გამოხატული აქტიური და პასიური მოქმედებებით. შესაბამისად დასკვნა, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება ობიექტურად შეიძლება იყოს, როგორც აქტიური ასევე პასიურ ქმედებებში გამოხატული.

პასიური მოქმედება არ უნდა აგვერიოს უმოქმედობაში, წმინდა უმოქმედობა ჩემი აზრით ვერიქნება დანაშაულზე ხელის აღბა, რამეთუ ეს უფრო შედეგის გარდაუვალობასთან შეგუებას ჰგავს ვიდრე გააზრებულ უკან დახეზვას, ხოლო ყველაზე ცუდ შემთხვევაში, როგორც დანაშაულის ჩადენის ერთგვარი სახე. აქედან გამომდინარე დასკვნა, რომ პასიური ქმედება რადიკალურად განსხვავებული მოვლენა და გულისხმობს დამნაშავის მხიდან ობიექტურად დანაშაულის შემდგომი გაგძელების, განხორციელებაზე უარის თქმას, შეწყვეტას. პასიური მოქმედებაა მაგალითად: როდესაც პირი მოამზადებს ყველაფერს დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაულის ჩადენისათვის აუცილებელ მოქმედებებს არ განახორციელებს, არ გაისვირის იარაღიდან, არ წავა დანაშაულის ჩასადენად და სხვა. მაგრამ არის შემთხვევები თვითონ დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე სადაც პასიური მოქმედებით დანაშაულზე ობიექტურად ხელის აღება შეუძლებელია, ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც აუცილებელია კონკრეტული მოქმედების განხორციელება მაგ: სასწრაფო დახმარების გამოძახება, ხელოვნური სუნთქვის ჩატარება და სხვა.

რაც შეხება აქტიურ მოქმედებას დანაშაულზე ობიექტურად ხელის აღების დროს აღნიშნული ყველაზე მარტივად ამოსაცნობია, როგორც წინა აბზაცში ვისაუბრეთ შემთხვევები, რომლებიც შეუძლებელია პასიური უმოქმედებით ობიექტურად თავიდან იქნას აცილებული სხვა შემთხვევებთან ერთად შედის აქტიური მოქმედებით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტურ მხარეში. აქტიური მოქმედებად ითვლება ობიექტურ რიალობაში დამნაშვის მიერ განხორციელებული მოქმედებები სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად, როგორც დანაშაულის დამთავრებული ისევე დაუმთავრებელი მცდელობისას.

ნებაყოფლობით ხელის აღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ასევე ის ფაქტი, რომ დამნაშავემ დანაშაულზე **ობიექტურად ბოლომდე** არ უნდა მიიყვანოს დანაშაული. ამის მიღწევა დამნაშავეს შეუძლია, როგორც საკუთარი, ასევე სხვა ძალების დახმარებით, მაგრამ მთავარია, რომ მიზეზობრიობის განვითარებაში სხვისი ძალების ჩარევა დამნაშავის ნებას შეესაბამებოდეს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოყვანილია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მაგალითი, ა.-მ ცეცხლი წაუკიდა სხვის სახლს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა სახლის დაწვა და შეეცადა მის ჩაქრობას, თუმცა მისი ძალისხმევა საკმარი არ აღმოჩნდა

ცეცხლის ჩასაქრობად. ამ დროს მას შემოესწრნენ გამვლელები და დაეხმარნენ ცეცხლის ჩაქრობაში და სახლი დაწვას გადაარჩინეს.³⁵

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე ნებაყოფლობით ხელს იღებს დანაშაულის ჩადენაზე და ამ პროცესში იგი აზიანებს სხვის ქონებას, რომლის დაზიანების გარეშეც, შეუძლებელი იქნებოდა უფრო მეტი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა. მაგალითად: ა.-ს თავისი მეზობლის ბ.-ს სახლის აფეთქების მიზნით, მის სარდაფში გაზის ონკანი მოუშვა და ბენზინით გაჯერებული ნაჭერი დატოვა. თუმცა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, გადაწვიტა ხელი აეღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, ამ მიზნით ა. დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, თუმცა ბ.-ს სარდაფის კარი დაკეტილი დახვდა. ა.-მ კარი დაზიანა და ისე შეაღწია სარდაფში, სადაც მან ცეცხლის ლოკალიზაცია მოახდინა და სახლი დაწვას გადაარჩინა. მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს ა.-ს მხრიდან ბ.-ს ქონების განადგურებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტს, თუმცა, მეორე მხრივ, ა.-ს ქმედებაში იკვეთება სხვა დანაშაულის ნიშნები, კერძოდ, ბ.-ს ქონების დაზიანების ფაქტი, რომელიც გამოიხატა კარის დაზიანებაში. ისმის შეკითხვა, უნდა დაისაჯოს თუ არა ა. კარების დაზიანებისათვის სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე? მოცემულ შემთხვევაში უკანასკნელი ნორმა არ უნდა იქნეს გამოყენებული შემდეგი ორი მიზეზის გამო: პირველი ა.-ს მიერ ახალი უმართლობის დაფუძნება მოხდა არა ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, არამედ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ნებაყოფლობით ხელის აღების პროცესში, და მეორე, ა.-ს მომდევნო ქმედება (კარების დაზიანება) ემსახურებოდა ნებაყოფლობით ხელის აღების მიზანს, კერძოდ, უფრო მძიმე შედეგის თავიდან აცილებას. აქედან გამომდინარე, ა. პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს ე. წ. კვალიტატური უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ყოფნის გამო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ბრალის გამომრიცხველ დაუწერელ გარემოებას წარმოადგენს.³⁶

საკმაოდ საინტერესო თემას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მართალია დამნაშავემ ნებაყოფლობით ხელის აღების გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ შედეგი სხვა მესამე პირის ჩარევით ვერ იქნა აცილებული, ეს ისეთი შემთხვევაა, რომელსაც მიზეზობრიობის ატიპიური განვითარება ეწოდება სისხლის სამართალში და რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, მაგალითად : ა.-მ გადაწყვიტა მოეკლა მეზობელი ბ., რომელთანაც დიდი ხნის კომფლიქტი ჰქონდა, რაც სისრულეში მოიყვანა ესროლა და ამის შემდეგ დაჭრილი დატოვა შემთხვევის ადგილზე, მაგრამ შემდეგ უკან დაბრუნდა მალევე და ნახა, რომ ბ. უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ არა მისი ნასროლი ტყვით, არამედ გ.-ს მიერ ნაჯახის დარტყმით. აქ ა.-ს მიერ დაფუძნებულ მიზეზობრიობის ჯაჭვში იჭრება გ.-ს მიერ დაფუძნებული ქმედება, რომელიც ა.-ს უსპობს შესაძლებლობას დანაშაულებრივი შედეგის

³⁵ იხ.სულაქველიძე (1992), გვ. 74-76.

³⁶ კვალიტატური უკიდურესი აუცილებლობის შესახებ . ტურავა (2011), პირველი სქოლიო, გვ. 486.

თავიდან აცილების, ამ შემთხვევაში ა.-მ დანაშაულზე საკუთარი ნებით საბოლოოდ აიღო ხელი დაბრუნდა დანაშაულის ადგილზე რათა გადაერჩინა ბ. ისმის კითხვა, როგორ უნდა გადაწყდეს ა.-ს ბედი, დაისჯება ის დამთავრებული მკვლელობისათვის? დაისჯება ის მკვლელობის მცდელობისათვის? თუ საერთოდ არ დაისჯება და მოექცევა სისხლის სამართლის კოდექსი 21-ე მუხლის ფარგლებში?. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხი, შეიძლება თუ არა ა. გადაერჩინა ბ.-ს სიცოცხლე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემდგომ? ამის ზუსტი დადგენა საკმაოდ რთულია ამიტომაც აქ საქმეში ერთვება ალბათობის თეორია, თუ ვიტყვით, რომ ა.-ს ალბათობის მაღალი ხარისხით ჰქონდა ბ.-ს გადარჩენის შესაძებლობა (ახლოს იყო სავადმყოფო სადაც შეძლებდნენ მისი მიყვანის შემდგომ დახმარებას) მაშინ ის ექცევა სწორედ, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლებში.

ასევე საკმაოდ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ნებაყოფლობით ხელის აღებისას სიტუაცია, როდესაც დამნაშაემ მართალია დანაშაულზე თქვა უარი, მაგრამ მისი წინარე მოქმედება სხვა დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, ამ თემას, როგორც დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტურ მხარეში იმიტომ განვიხილავ, რომ სხვა დანაშაული ობიექტურად უკვე ჩადენილი და დასრულებულია ძირითად ქმედებაზე ხელის აღებისას ისე, რომ დამნაშავეს შეიძლება სუბიექტურად არცკი დაუგეგმავს და არცკი უფიქრია, რომ ის ჩადის ორ განსხვავებულ დანაშაულს და ასევე ხელის აღებისას შეიძლება არც იცოდეს, რომ მან ერთ ძირითად დანაშაულზე მართალია უარი თქვა, მაგრამ სხვა დანაშაული უკვე ჩადენილია და დასრულებული, რისთვისაც იგი აგებს პასუხს, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. იმისათვის, რომ უფრო ნათელი იყოს ამ აზრის შინაარსი მოვიყვანოთ მაგალითი : ა.-მ გადაწყვიტა ანგარების მიზნით გაეძარცვა მეზობელი, ერთ ღამეს ა. მეზობლის სახლში შევიდა, მაგრამ მან გადაიფიქრა დანაშაულის დამთავრება. თუ დავაკვირდებით ამ შემთხვევას სახეზეა სხვა დანაშაულიც ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა. ასეთ შემთხვევებში სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე პირი თავისუფლდება ძარცვის ბრალდებისგან, რადგან მან ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულზე და არ დამთავრა იგი, მაგრამ მისი დასჯა ხდება ბინის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 160 , რაც დასჯადაც აცხადებს ბინაში მფლობელის გარეშე დაუკითხავად შესვლას. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ თანმდევი დასრულებული დანაშაული გაგებულია არა, როგორც მთელი ძარცვის, როგორც დანაშაულის შემადგენელი ნაწილი, არამედ ხდება ქმედების გამოყოფა ცალკე და შემდგომ მისი დამოუკიდებელი კვალიფიკაცია მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქმედება განხორციელებულია ერთი და იგივე ქმედებით, მაგრამ ერთი ეპატიება დამნაშავეს ხოლო თანმდევი დანაშაულისათვის, ბინის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის აგებს პასუხს.

თავი IV

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მომზადების და მცდელობის სტადიაზე.

4.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მომზადების სტადიაზე.

განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულებისათვის საქართველოს რსსკ-ის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „ დანაშაულისთვის მზადებად ჩაითვლება საშუალების ან იარაღის გამოძებნა ან სხვაგვარი პირობების განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად“.³⁷

დღევანდელი მოქმედი სსკ-ის მე-18 მუხლის თანახმად დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა.³⁸

მომზადების სტადიაზე დანაშაულის ხელის აღება ყოველთვის შესაძლებელია, რადგან აღნიშნული წარმოადგენს დანაშაულის ჩადენამდე წინარე მოქმედებათა ერთობლიობას, რომლის დროსაც ხდება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების შექმნა, პირობების შექმნაში იგულისხმება იარაღის მოძიება ყაჩაღობის ჩასადენად ან მკვლელობის და სხვა.

მომზადების სტადიაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას უმართლობის ხარისხი ძალზე მცირეა და მას სრულიად შესაძლებელია სხვა წიანრე თანმდევი დანაშაულიც არ გაჩნდეს რის გამოც მისი დასჯადობის შესაძლებლობა ძალზედ დაბალია .

4.2 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი მცდელობის დროს.

³⁷ იხ. სულაქველიძე დ. სადისერტაციო ნაშრომი „დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება“ თბილისი 1992 გვ 157

³⁸ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 18, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

„მცდელობა” სისხლის სამართალში გულისხმობს ქმედებას, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ აღნიშნული ბოლომდე არ მიჰყავს ამსრულებელს, აღნიშნულზე უფრო დეტალურად შემდეგ ვისაუბრებთ.

რაც შეეხება დაუმთავრებელ მცდელობას თავის თავში მოიაზრებს დანაშაულის ამსრულებლის ნებაყოფლობით მოქმედებას, უარს დანაშაულის განხორციელების შემდგომ გაგძელებაზე მცდელობის სტადიაზე.

დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მომზადების, დამთავრებული ან დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზეა შესაძლებელი.

საქართველოს ადრინდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მცდელობის სახეებად დაყოფას არ იცნობდა, მაგრამ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მცდელობის კლასიფიკაცია დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობად მაინც ხდებოდა. ამასთან, გაბატონებული დოქტრინა ხაზს უსვამდა მცდელობის სახეებად დაყოფის მნიშვნელობას, რადგან, მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ ასეთი დაყოფა დიდი როლს თამაშობდა, ერთი მხრივ, მცდელობის დასჯადობის და, მეორე მხრივ, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხის გადაწყვეტის დროს. მაშასადამე მცდელობის დაყოფას დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.³⁹

აღნიშნულ საკითხს ქმედების დაუმთავრებელ მცდელობად კვალიფიკაციას ვფიქრობ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოდ, იმ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე, რომ დაუმთავრებელი მცდელობა ნალკებ დელიქტურია ვიდრე დამთავრებული მცდელობაც შესაბამისად ლოგიკურია სასამართლოს მხრიდანაც სასჯელის ზომის შეფარდებისას გამახვილდეს ყურადღება და შესაბამისი სასჯელის შეფარდება მოხდეს განსხვავებული სასჯელის ზომის შეფარდებით.

თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში ზოგიერთი მეცნიერი მცდელობის სახეებად დაყოფის დროს, როგორცა დაუმთავრებელი მცდელობა, გადამწყვეტ მნიშვნელობას ობიექტურ კრიტერიუმებს ანიჭებს, რადგან მიაჩნია, რომ ქმედების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები არა ადამიანის სუბიექტური წარმოდგენა, არამედ რეალურად განხორციელებული ქმედებები.⁴⁰

³⁹ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 199 (პირველ წყარო იხ. წერეთელი (1961), გვ. 148-150).

⁴⁰ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 200 (პირველ წყარო - იხ. დვალაძე, ზოგადი ნაწილის კომენტარები (2007), გვ 164-165)

ასევე თანამედროვე, სისხლის სამართლის დოგმატიკაში განსხვავებულად არის წარმოდგენილი დაუთავრებელი და დამთავრებული მცდელობის მნიშვნელობა. ზოგიერთი მეცნიერი, იმას, რასაც ადრინდელი შეხედულება, დამთავრებულ მცდელობად თვლიდა, დაუთავრებელ მცდელობას მიაკუთნებს. მაგალითად, როდესაც ა. მოკვლის განზრახვით წყალში ჩააგდებს ბ. და შემდეგ გადაარჩენს, ან როდესაც ა. საწამლავს მისცემს ბ.-ს და შემდეგ ექიმს გამოიძახებს, ადგილი აქვს არა დამთავრებულ, არამედ დაუთავრებელ მცდელობას, რადგან ამ შემთხვევაში ა.-ს ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაუკეთებია, რაც მასზე იყო დამოკიდებული. პირიქით, მან ნებაყოფლობით ხელის აღებით მცდელობას არ მისცა დამთავრების საშუალება.⁴¹

არსებობს ასევე მეცნერთა მოსაზრება, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მცდელობის სახეებად დამთავრებულ და დაუთავრებელ მცდელობებად დაყოფის შესაძლებლობას გამორიცხავს.⁴²

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულის მცდელობას წარმოადგენს ისეთ ქმედება, რომელიც „ უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“. ნათელია, რომ მცდელობის განმარტებისას კანონმდებელი მიუთითებს ორ მნიშვნელოვან მომენტზე, ქმედების შემადგენლობის აღწერილობაზე, რომელიც გამოიხატება სიტყვებით, „ უშუალოდ მიმართულია“ და მეორე, შედეგის არ დადგომაზე, რომელიც გამოიხატება სიტყვებით „ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“. ამდენად, დანაშაულის შემადგენლობის დაწყება დაუთავრებელ მცდელობაზე მიუთითებს, ხოლო ამის შემდგომ ქმედება, რომელსაც შედეგის განხორციელებამდე არაფერი უკლია, უკვე დამთავრებულ მცდელობის სტადიას იძლევა. მაგალითა, როდესაც ა. მოკვლის განზრახვით ბ.-ს საწამლავი ჩაუყარა ჭიქაში, მან ამით მკვლელობის შემადგენლობის განხორციელება დაიწყო და, შესაბამისად, ა. მკვლელობის დაუთავრებელ მცდელობის სტადიაზე იმყოფება, მაგრამ, როგორც კი ბ. საწამლავს დალევს, ობიექტურად დამნაშავის მხრიდან ყველაფერი შესრულებულია და შედეგი სადაც არის უნდა დადგეს ა. ამ დროს სცდება დაუთავრებელი მცდელობის საზღვრებს და დამთავრებული მცდელობის სტადიაზე გადადის.⁴³

⁴¹ იხ. ხარანაული ლ . დაუთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 200 (პირველ წყარო - იხ.sulaqvelize, „samarTali“ #3-4 (1991), გვ. 16-17).

⁴² იხ.გამყრელიძე (2008), გვ. 168.

⁴³ იხ. ხარანაული ლ . დაუთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 200 - 201

4.3 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის დროს.

როგორც წინა თავში ვახსენეთ სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად ,, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.⁴⁴

დამთავრებული მცდელობს სტადიაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია და ხასიათდება ამსრულებლის მიერ ობიექტურად გამოხატულ რიგ მოქმედებებში, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი სიკეთის გადარჩენისაკენ, აქ მნიშვნელოვანია, რომ დამნაშავემ მოახერხოს იმ ოპტიმალური გზის პოვნა სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად, რომელიც საკმარისად კარგი აღმოჩნდება იმისათვის, რომ გამოასწოროს საკუთარი უმართლობა და სასჯელი აიცილოს თავიდან. სხვა შემთხვევაში მისი ქმედება დაუსჯელი არ დარჩება.

დამთავრებული მცდელობის კარგ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაში სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა გაუპატიურების მცდელობა, ე.ი. სქესობრივი კავშირის დამყარების მცდელობა ძალადობითა და ძალადობის მუქარით.

სასამართლომ საკასაციო წესით განიხილა აღნიშნული დანაშაული და ის საკმაოდ საინტერესოდ მსჯელობს ამ დანაშაულში დამნაშავეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტზე, სასამართლო მიუთითებს შემდეგს გადაწყვეტილებაში.

საქმეში არსებული ამოღების ოქმით ირკვევა, რომ ნ. ჰ-ერის მიერ წარმოდგენილ შარვალს წინა, მარცხენა მხარეს, ელვაშესაკრავთან აქვს 46 სმ სიგრძის განარღვევი.

ამასთან, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენში მოყვანილ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში,⁴⁵

გაუპატიურების მცდელობის სტადიაზე, მსჯავრდებულებს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელი არ აუღიათ, რადგან მსჯავრდებულთა მხრიდან დანაშაულის შეწყვეტა გამოწვეულია არა ნებაყოფლობით, არამედ - დაზარალებულის აქტიური

⁴⁴ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 19, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

⁴⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე #1284-აპ-08 , თარიღი 4 მარტი, 2009 წ., ქ.თბილისი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე 2009 წელი ნ9 , ზოგადი და კერძო ნაწილი)

წინააღმდეგობით, რაც ასევე გაზიარებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დაზარალებულ ნ. ჰ-ერის მხრიდან გაწეული ფიზიკური წინააღმდეგობა და ყვირილი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ობიექტურ ხელის შემშლელ გარემოებად, რომელთა არსებობის შემთხვევაში მსჯავრდებულები თავიანთ განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდნენ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდა დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება, რაც წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველს.⁴⁶

სისხლის სამართლის მეცნიერება იცნობს აგრეთვე თეორიას, ქმედების მიზეზობრიობის ჯაჭვის ატიპიური განვითარების შესახებ, რომელიც მოკლედ, რომ ვთქვათ წარმოადგენს შემთხვევას, როდესაც მიზეზობრიობა იმდაგვარად არაბუნებრივად ვითარდება ვიდრე უნდა განვითარებულიყო, მსგავსი შემთხვევა შესაძლებელია არსებობდეს დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროსაც, ასეთ შემთხვევაში ჩდება კითხვა თუ ამსრულებელი ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე, მაგრამ მიზეზობრიობა ქმედებასა და შედეგს შორის ატიპიურად განვითარდება, როგორ უნდა გადაწყდეს ამსრულებლის ბედი, ჩაითვლება თუ არა, რომ მან დანაშაულზე აიღო ხელი? მაგალითად, ა-მ გადაწყვიტა მოკლას ბ. ესროლა იარაღიდან დაჭრა ბ. მაგრამ შემდეგ შეეცოდა და სასწრაფოს გამოუძახა, სავადმყოფოში მიმავალ გზაზე სასწრაფო დახმარების ავტომობილს სხვა ავტომობილი დაეჯახა, რის გამოც ბ. გარდაიცვალა.

ზემოთ აღნიშნულ მაგალითში სახეზე გვაქვს მიზეზობრიობის ატიპიური განვითარება, რადგან ამსრულებლის განზრახვა მოეკლა ბ. გამოიწვია სულ სხვა ქმედება, სასამართლო პრაქტიკა მსგავს შემთხვევას არ თვლის ნებაყოფლობით ხელის აღებად, რადგან „ატიპიურ განვითარებას წინ უძღვოდა ამსრულებლის წინარე მოქმედება (ამასთანავე შედეგი თავიდან ვერიქნა აცილებული რაც უპირველესი დათქმა კანონმდებლის მსგავს შემთხვევაში), ბ. -ს დაჭრა რის გამოც გახდა აუცილებელი მისი გადაყვანა სავადმყოფოში სასწრაფო დახმარებით შესაბამისად ა. -ს მიერ წარმოშობილი საშიშროება კვავაც განაგძობს განვითარებას.

⁴⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე #1284-აპ-08, თარიღი 4 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე 2009 წელი ნ9, ზოგადი და კერძო ნაწილი)

თავი V

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშულებზე
ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებანი.

- 5.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, დანაშაულში
თანამონაწილეობის და თანაამსრულებლობისას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის VI-ე თავში კანონმდებელი განმარტავს თუ რა არის დანაშაულში თანამონაწილეობა და დანაშაულში თანაამსრულებლობა. სისხლის სამართლის კოდექსი VI-ე თავის 22-ე მუხლის თანახმად „ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“. ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში“.⁴⁷

წინა თავებში დანაშაულის სუბიექტად გვევლინებოდა უშუალოდ ამსრულებელი პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა დანაშაულის ჩადენას და შესაბამისად მხოლოდ მას შეძლო დანაშაულის დამთავრებაზე უარი ეთქვა. სისხლის სამართლის კოდექსი VI-ე თავიდან გამომდინარე კი დანაშაულში უშუალო ამსრულებელთან ერთად შეიძლება მონაწილეობდეს თანამსრულებელი პირი, რომელიც დანაშაულში სხვა ამსრულებელთან ერთობლივად მონაწილეობს და თანამონაწილე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს განზრახი დანაშაულის ჩადენაში.

გამომდინარე აქედან სისხლის სამართლის კოდექსი 21-ე მუხლი, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაც შესაბამისად უნდა გავრცელდეს, როგორც თანამსრულებელი პირზე ასევე დანაშაულში თანამონაწილე პირებზე, გამომდინარე იქიდან, რომ თანაამსრულებელი და თანამონაწილეს ახორციელებენ განზრახ დანაშაულის, შესაბამისად ობექტურად მათაც აქვთ შესაძლებლობა ხელი აიღონ დანაშაულის დამთავრებაზე.

თანამონაწილის მხრიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას სპეციფიკურობა ახასიათებს, ამიტომაც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი ინდივიდუალურია.

რას გულისხმობს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალურობა, კარგადა განმარტებული შემდეგ მაგალითში: თუ ამსრულებელმა მკვლელობის მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით აიღო ხელი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი თანამონაწილებიც თავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, არამედ ისინი პასუხს აგებენ მკვლელობის მცდელობისათვის.⁴⁸

⁴⁷ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 22-23, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

⁴⁸ მჭედლიშვილი-ჰედრიხი, იხ (2011), გვ. 109.

არის შემთხვევები, როდესაც მაკვალიფიცირებელ გარემოებაზე ხელს იღბს ამსრულებელი, მაგ: ამსრულებელმა ხელი აიღო ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობაზე და განზრახ მოკლა ერთი პირი, ამ შემთხვევაში მან ჩაიდინა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან მან მე-19 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით თქვა უარი, ამ შემთხვევაში კი თანამონაწილეთა დასჯადობა ინდივიდუალურია ამსრულებლის დასჯადობისგან და ისინი დაისჯებიან მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის მაკვალიფიცირებელ გარემოებებში.⁴⁹

როდესაც ნებაყოფლობით ხელის აღბაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ამსრულებელთა მხრიდან არსებობდეს ობიექტურ მოქმედებათა ჯაჭვი, რომელიც მიმართულია დანაშაულის აღკვეთისაკენ, დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებისკენ.

სისხლის სამართლის კოდექსის თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს კოდექსის 21-ე მუხლის არეგულირებს, მუხლის მე-3 ნაწილის თანამხად, თანამონაწილეებს : დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელს და დამხმარეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ, თუ მათ შეასრულეს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთი.⁵⁰

ა) გადარწმუნეს ამსრულებელი ჩაედინა დანაშაული.

ბ) ხელისუფლების ორგანოებს დროულად შეატყობინეს დანაშაულის ჩადენის შესახებ.

გ) ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს სხვაგვარად შეუშალეს ხელი რითაც თავიდან აიცილეს დანაშაული და არ მისცეს მისი დასრულების შესაძლებლობა.

დ) დამხმარემ რომელიც თანამონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა უარი თქვა დანაშაულის დაწყებამდე წინასწარ შეპირებულ დახმარებაზე .

ე) დამხმარემ უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად მის მიერ გადაცემული იარაღი ან სხვა საშუალება.⁵¹

მხოლოდ აღნიშნულ პირობების არსებობა არ ნიშნავს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, აღნიშნულ პირობებთან ერთად სახეზე უნდა არსებობდეს ობიექტურად შედეგი დაუძმთავრებელი დანაშაულის სახით, რაზეც სსკ-ის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს, და ამბობს, რომ თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ თავისი მოქმედებით ვერ შეძლეს დანაშაულის შედეგის თავიდან აცილება

⁴⁹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი, იხ (2011), გვ. 109.

⁵⁰ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 21, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

⁵¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 21, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

მაშინ მათი ქმედება ვერ ჩაითვლება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღბად და აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ მიჩნეულ იქნეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.⁵²

ა) **გადაარწმუნს ამსრულებელი ჩაედინა დანაშაული.** - აღნიშნული გულისხმობს შემდეგს, რომ თანამონაწილებმა, თანაამსრულებელმა საკუთარი სურვილით და აქტიური მოქმედებით შეძლეს და ამსრულებელს უარი ათქმევინეს დანაშაული ჩადენაზე ან დასრულებაზე, ანუ აღნიშნული მოქმედება თანამონაწილეს და თანაამსრულებელს შეუძლია განახორციელოს, როგორც უშუალოდ დანაშაულის დასრულებული ან დაუსრულებელი მცდელობისას ისევე დანაშაულის დაწყებამდე მომზადების სტადიაზე . მაგალითად: ა-მ და ბ-მ გადაწყვიტეს მოეკლათ მეზობელი გ-ე, მათ მოამზადეს იარაღი მეორე დღეს მკვლელობის ჩასადენად, მაგრამ ბ-ე დაფიქრდა , შეცოდა გ-ე და გადაიწყვიტა ხელი აეღო დანაშაულის ჩადენაზე, მივიდა ა-სთან და გადაარწმუნა ისიც მეორე დღეს გ-ს მკვლელობაზე. აქ სახეზე გვაქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე ამ შემთხვევაში თანაამსრულებელი თავისი აქტიური მოქმედებით თავიდან იცილებს დანაშაულებრივ შედეგს რაც ჩაითვლება ნებაყოფლობით ხელის ახებათ, თუ ბ-ე უშუალოდ მკვლელობის დღეს სროლის შემდეგ დაჭრილი გ-თვის მეორედ სროლას გადაფიქრებინებდა ა-ს ეს ქმედება იქნებოდა დამთავრებული მცდელობისას მკვლელობაზე ხელის აღბა, ამ შემთხვევაში ბ-ე ვალდებული იქნებოდა გადაერჩინა გ-ს სიცოცხლეს რათა მისი ქმედება დანაშაულზე ხელის აღებად დაკვაფიცირდეს.

არის ისეთი შემთხვევებიც როდესაც ორგანიზატორი ან წამქეზებელი ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივით ხელს უშლის ამსრულებელს მკვლელობის ბოლომდე მიყვანაში, მაგრამ ამსრულებელი, ამის მიუხედავად, მაინც მოასწრებს დაზარალებულისათვის ჯამრთველობის დაზიანებას. ამ შემთხვევაში, ორგანიზატორი ან წამქეზებელი დაისჯებიან ჯამრთველობის განზრახ დაზიანებაში თანამონაწილეობისათვის.⁵³

ასევე შესაძლებელია ორგანიზატორმა გადაარწმუნოს, როგორც ამსრულებელი, ასევე სხვა თანამონაწილე. ამას გარდა, თანამონაწილეთა მხრიდან ნებაყოფლობით ხელის აღბა დასაშვებია მაშინაც, როდესაც ამსრულებელმა ქმედება იურიდიულად დაამთავრა და იგი ფაქტობრივად ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

ბ) **ხელისუფლების ორგანოებს დროულად შეატყობინეს დანაშაულის ჩადენის შესახებ** - აღნიშნული გულისხმობს პოლიციისთვის დანაშაულის ჩადენამდე შეტყობინებას, რითაც თანამონაწილე ან თანაამსრულებელი სამართალდამცავების დახმარებით ახერხებს,

⁵² იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 21, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

⁵³ იხ. გვენეტაძე (1994), გვ. 106

მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აცილებას და დანაშაულზე ხელის აღებას, აღნიშნული შემთხვევა ხშირად სახეზე მაშინ, როდესაც ობიექტურად დამხმარეს ფიზიკურს თუ ფსიქიკურს, ორგანიზატორს თუ წამქეზებელს ობიექტურად არ შეუძლია შეაკავოს ასრულებელი და გადაფიქრების დანაშაული რის გამოც შესაძლებელია ხელისუფლების ორგანოების დახმარებით მოახდინოს აღნიშნული. მაგ: ფიზიკურმა დამხმარებ ა-მ, ბ-ს ათხოვა მის სახელზე გაფორმებული სანადირო თოფი რითაც ბ-ე აპირებდა მკვლელობის ჩადენას. მეორე დღეს ა-ს საცხოვრებელი ქალაქის მეზობელ ქალაქში, დილით ა-მ გადაიფიქრა დანაშაულში დახმარება, მაგრამ მას ობიექტურად შესაძლებლობა არ ქონდა ხელი შეეშალა დანაშაულის ჩადენაში, რის გამოც მან შეატყობინა ხელისუფლების ორგანოებს, რომლებმაც ბ-ე შემთხვევის ადგილზე დააკავეს იარაღით ხელში, ბ-მ ვერ მოასწრო მკვლელობის განხორციელება.⁵⁴

გ) ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს სხვაგვარად შეუშალეს ხელი რითაც თავიდან აიცილეს დანაშაული და არ მისცეს მისი დასრულების შესაძლებლობა. - სხვაგვარად ხელის შეშლაში მოიაზრება ისეთი შემთხვევა, როდესაც თავდაპირველად წამქეზებელი დაიყოლიებს ამსრულებელს განზრახ მკვლელობის ჩადენაში ან ფსიქიკური დამხმარე რჩევა-დარიგებას მისცემს ამსრულებელს, ხოლო შემდეგ დანაშაულის დამთავრებამდე ისინი გადაიფიქრებენ მკვლელობის ჩადენას და დაარწმუნებენ შურისძიების გრძნობით გამსჭვალულ ამსრულებელს იმაში, რომ სავსებით საკმარისი იქნება, თუ იგი დაზარალებულს მხოლოდ ჯამრთველობას დაუზიანებს. ამასთან, თანამონაწილეებს მძიმე შედეგის თავიდან აცილების სხვა საშუალება არ ჰქონდათ. ამსრულებელმა დაუჯერა თანამონაწილეებს და მკვლელობის ნაცვლად ჯამრთველობა დაუზიანა დაზარალებულს. ამ მაგალითში საინტერესო არის ის, თუ როგორ უნდა გადაწყდეს თანამონაწილის პასუხისმგებლობის საკითხი. თანამონაწილე (წამქეზებელი და დამხმარე) მკვლელობაზე ხელის აღების მიუხედავად, უნდა დაისაჯონ თუ არა ჯამრთველობის დაზიანებისათვის თუ საერთოდ უნდა განთავისუფლდნენ პასუხისმგებლობისგან?⁵⁵

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თავდაპირველად, აუცილებელია დასახელებული შემთხვევა შედარდეს სისხლის სამართლის დოგმატიკაში ჩამოყალიბებულ ე. წ. რისკის შემცირების თეორიით დაფუძნებულ ისეთ შემთხვევასთან, როდესაც დამნაშავე სხვა პირი დაარწმუნებს იმაში, რომ უმჯობეს იქნება, თუ იგი მკვლელობის ნაცვლად ჯამრთველობას დაუზიანებს დაზარალებულს. ,, რისკის შემცირების თეორიის" თანახმად, პირი, ვინაიდან მან უფრო დიდი სამართლებრივ სიკეთე გადაარჩინა, არ დაისჯება დანაშაულის

⁵⁴ იხ. ხარანაული ლ. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწვლვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 345

⁵⁵ იხ. ხარანაული ლ. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწვლვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 345

წაქეზებისათვის, არამედ იგი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ობიექტური შერაცხვის არარსებობის გამო.⁵⁶

მაშასადამე „ რისკის შემცირების თეორის “ თანამხად, მთავარია პირმა უფო მძიმე შედეგი აიცილოს თავიდან შედარებით მსუბუქი შედეგის ხარჯზე და ორივე ამ შედეგში იგი იყოს თანამონაწილე, რათა შემდგომში მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე.

დ) დამხმარემ (რომელიც თანამონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა) უარი თქვა დანაშაულის დაწყებამდე წინასწარ შეპირებულ დახმარებაზე .

ე) დამხმარემ უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად მის მიერ გადაცემული იარაღი ან სხვა საშუალება - აღნიშნული პირობებიდან გამომდინარე ნათელია რომ კანონმდებელი უშვებს ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე და გაგძელების შემდეგ დამთავრებამდე და შემდეგაც ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას თანამონაწილეთა მხრიდან **დ)** შემთხვევაში დამხმარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან თუ ის უარს ეტყვის დანაშაულის დაწყებამდე ამსრულებელს რითაც იგი ექცევა კვლავაც კანონის ფარგლებში მაგ: თუ ა. და ბ-ე შეთანხმდნენ ქურდობის ჩადენაზე ა. - ბ.-ს დაპირდა, რომ საკუთარი ავტომობილით დაეხმარებოდა ნაქურდალის გადაზიდვაში, მაგრამ მან ქურდობის დაწყებამდე დაურეკა ბ-ს და შეატყობინა, რომ ის აღარ დაეხმარებოდა მას და უარს აბობდა ქურდობაში თანამონაწილეობაზე. რაც შეეხება ე) ისეთი შემთხვევა როცა ფიზიკური დამხმარე უკან იბრუნებს მის მიერ გადაცემულ იარაღს ან სხვა საშუალებას ამსრულებლისათვის მაგ: ა.-მ ათხოვა ბ.-ს სანადირო თოფი ქურდობის ჩასადენად, შემდეგ გადაიფიქრა დანაშაულში თანამონაწილეობა და უკან დაიბრუნა სანადირო თოფი, რის გამოც ამსრულებელმა ვეღარ შეძლო დანაშაულის ჩადენა.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც დამხმარე მიუხედავად თავის აქტიური მოქმედებისა, დაიბრუნა დანაშაულის იარაღი ვერ ახერხებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას იმის გამო, რომ მისი აქტიური მოქმედების მიუხედავად დანაშაული მაინც იქნა ჩადენილი ამსრულებლის მიერ. მაგ: ა.-მ ბ.-ს ქურდობის ჩადენამდე, გამოართვა სათავსოს გასაღები სადაც ნაქურდალი უნდა შეენახა მაგრამ ბ-მ მანამდე ასლი გაკეთა და მიუხედავად გასახების დაბრუნებისა ბ-მ მაინც შეძლო ნაქურდალის ა.-ს სათავსოში შენახვა, ამ შემთხვევაში მართალია ა-მ ხელი აიღო დანაშაულზე და დაიბრუნა მის მიერ მიცემული სათავსო გასაღები, მაგრამ შედეგი მაინც ვერ აიცილა თავიდან ამიტომ მისი ქმედება ვერ ჩაითვლება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად.⁵⁷

⁵⁶ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწიფანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 345 - პირველ წყარო - იხ. დვალიძე, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 184.

⁵⁷ იხ: ტურავა (2013),გვ. 342.

5.2 თანამონაწილებით ჩადენილ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, აუცილებელი მოგერიების არსებობის შესაძლებლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის VIII თავის 28-ე მუხლში მოცემულია აუცილებელი მოგერიების დეფინიცია, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება „ 1. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად”⁵⁸

თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას შესაძლებელია დანაშაულის თანამონაწილე ან თანაამსრულებელი აღმოჩნდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც თანამონაწილე (თანაამსრულებელი) ნებაყოფლობით უარს ამბობს დანაშაულსი ჩადენაზე და სხვა თანამონაწილეს ძალის გამოყენებით აიძლებს შეწყვიტოს დანაშაული. მართლზომიერი ძალის გამოყენებისას შესაძლებელია ხელის ამღებმა დაზიანებები მიაყენოს თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სწორედ ამ დროს იგი, როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღებად გვევლინება ასევე აუცილებელ მომგერიებლად, რომელიც მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა, შესაბამისად გამორიცხავს პასუხისმგებლობას, ანუ სახეზე გვაქვს სასჯელისგან განთავისუფლების მიზეზი ის, რომ ხელი აღებულია დანაშაულზე და შედეგი თავიდან აცილებული და მართლსაწინააღმდეგობის გარემოება აუცილებელი მოგერიება როდესაც მომგერიებელმა იგივე ხელის ამღებმა სხვისი სამართლებრივი სიკეთე გადარჩინა. აღნიშნულის მაგალითია შემთხვევა როდესაც: ა. -მ და ბ.-მ გადაწყვიტეს მოეკლათ გ. -ე, მაგრამ მკვლელობის ჩადენისას ა. -მ გადაიფიქრა და ცდილობდა ბ. -ს გადარწმუნებას, მაგრამ ბ-ს სურდა მოეკლა გ. -ე, დაუმინა იარაღი და სროლას აპირებდა, როდესაც ა. -მ დაასწრო და მოკლა ბ. -ე. ამ შემთხვევაში ა. -მ, როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მოახდინა, ასევე იმოქმედა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერ ფარგლებში რითაც გადარჩინა გ.-ს სიცოცხლე. შესაბამისად იგი განთავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

⁵⁸ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 28, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

თავი VI

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის
საკითხი.

6.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის
საკითხი ქართულ-გერმანულ სამართალში.

დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დანაშაულის შემადგენლობის აგებულებაზე, მის საკანონმდებლო განსაზღვებაზე.⁵⁹

დელიქტის სახეების კვლევა აჩვენებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული დანაშაულის შემადგენლობები არ გვანანა ერთმანეთს და მათი სამართლებრივი შეფასების კრიტერიუმებიც განსხვავებულია. ზოგიერთი დელიქტის მომზადება და მცდელობა სავსებით შესაძლებელია. ასეთია, მაგალითად, განზრახ მკვლელობა. მაგრამ არის ისეთი დელიქტები, სადაც, როგორც მომზადება, ასევე მცდელობა შეუძლებელია, ასეთია, მაგალითად, სსკ-ის 129-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დაუხმარებლო-ბისათვის. ამის გარდა, სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია დელიქტის ისეთი სახეები, სადაც შეუძლებელია მომზადება, ხოლო მცდელობა დასაშვებია, მაგალითად, სსკ-ის 111-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ანდა პირიქით, მცდელობა შეუძლებელია, ხოლო მომზადება შესაძლებელია, მაგალითად, სსკ-ის 224-ე მუხლით გათვალისწინებული ბანდიტიზმი.⁶⁰

ისმის შეკითხვა : შესაძლებელია თუ არა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება იმ განზრახ დელიქტებში, რომლებსაც დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიები არ გააჩნიათ ? ამ კითხვას გერმანიის სისხლის სამართალი ასე პასუხობს, რომ, თუ კი დასაშვებია, დანაშაულის მომზადების მცდელობა, მაშინ დასაშვებია ნებაყოფლობით ხელის აღება გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფის მიხედვით. პირიქით, თუ მოსამზადებელი დანაშაული ფორმალურად უკვე დამთავრებულია მაშინ ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა აღარ არსებობს და შესაბამისად, გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფის გამოყენების აუცილებლობაც აღარ წარმოიშობა.⁶¹

მამასადამე, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღება სოწრედ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე ხორციელდება და , ამდენად,

⁵⁹ იხ. სულუქვაძე დ. სადისერტაციო ნაშრომი „ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება“ თბილისი 1992 წ., გვ. 145.

⁶⁰ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 354.

⁶¹ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 354

ლოგიკურია, რომ დელიქტს, რომელსაც ასეთი სტადიები არ გააჩნია, შეუძლებელია იქ ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი.⁶²

6.2 უმოქმედობით ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი არეგულირებს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ ქმედებით განხორციელებულ ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას. მაგალითად, დ. ხიდის აფეთქების მიზნით ბომბი დაამონტაჟა და ცეცლი მოუკიდა ფითილს, რომელიც ორ საათში უნდა აფეთქებულიყო. ნახევარი საათის შემდეგ, დამნაშავე ვითარების შესამოწმებლად შემთხვევის ადგილზე მივიდა და ფითილი ჩამქრალი დახვდა. ამის შემდეგ, დამნაშავემ ფითილს ხელახლა აღარ მოუკიდა ცეცხლი, რადგან მან ადგილზე გადაიფიქრა ხიდის აფეთქება.

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დამნაშავემ, მართალია, ყველაფერი გააკეთა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი.⁶³

აღნიშნული მაგალითით შეგვიძლია დავასკვანთ, რომ სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი უშვებს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედებით ხელის აღების შესაძლებლობას ამას ის ლოგიკური ფაქტიც ამყარებს, რომ თვითონ სიტყვა „ქმედება“ გულისხმობს ლოგიკურად, როგორც მოქმედებით ჩადენილ ქმედებას ისე უმოქმედობას.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი ნებაყოფლობით ხელის აღებად თვლიდა ისეთ შემთხვევას, სადაც დამნაშავემ, მართალია, ყველაფერი გააკეთა შედეგის მისაღწევად მაგრამ შემდეგ მოვლენათა მსვლელობაში ნებაყოფლობით აქტიური ჩარებით თავიდან აიცილა ეს შედეგი, ხოლო 2000 წლის 5 მაისს განხორციელებული ცვლილების თანახმად, სიტყვა „

⁶² იხ. ხარანაული ლ. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 355

⁶³ იხ. ხარანაული ლ. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 355

ნებაყოფლობით აქტიურად ჩართვით “ შეიცვალა სიტყვებით „ ნებაყოფლობითი მოქმედებით” , ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ კანონმდებელმა სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილში ნებაყოფლობით ხელის აღებად ჩათვალა შედეგის, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით თავიდან აცილების შემთხვევები.⁶⁴

აქედან გამომდინარე , მომზადების სტადიაზე შესაძლებელია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც მოქმედებით ასევე უმოქმედობით.

თუმცა, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე დანაშაულის მომზადების სტადიაზე უმოქმედობით ვერ მოახერხებს ხელის აღებას, არამედ აუცილებელია მან ამისათვის რაღაც მოქმედება განახორციელოს. მაგალითად, თუ პირმა ჩამოაყალიბა ჯგუფი დანაშაულის ჩასადენად და არსებობს საშიშროება იმის, რომ ამ პირმა ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაშასადამე, პირმა უნდა შეძლოს მიზეზობრივი ჯაჭვის განვითარების შეწყვეტა.⁶⁵

ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ანალოგიურად უნდა შეფასდეს დანაშაულის მცდელობის დროსაც. ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული პოზიციის თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღება, შესაძლებელია, როგორც დაუმთავრებელი, ასევე დამთავრებული მცდელობის სტადიაზე.⁶⁶ თუმცა, აქ ერთი საკითხი იწვევდა აზრთა სხვაობას. ადრეული ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკა თვლიდა, რომ დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელი იყო უმოქმედობით, ხოლო დამთავრებული მცდელობის სტადიაზე შეუძლებელი იყო ნებაყოფლობით ხელის აღება პასიური ქმედებით. ამის საილუსტრაციოდ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დასახელებულია ასეთი მაგალითი: ა. მკვლელობის მიზნით ესროლა ბ. - ს და ააცილა. ამის შემდეგ, ა. მეორედ აღარ უცდია გასროლა. ზემოთ დასახელებული შეხედულების თანახმად, აქ ნებაყოფლობით ხელის აღებას არ აქვს ადგილი, არამედ სახეზეა დამთავრებული მცდელობა.⁶⁷

ანალოგიური პოზიცია გააჩნია ზოგიერთ გერმანულ მეცნიერს. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის სტადიაზე

⁶⁴ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 355- 356

⁶⁵ იხ. სულუქვაძე (1992), გვ. 161-162.

⁶⁶ იხ. ტურავა (2013), გვ. 316.

⁶⁷ იხ. წერეთელი (1961), გვ. 223-224.

დამნაშავეს შეუძლია მხოლოდ აქტიური მოქმედებით, რათა ხელი შეუშალოს დანაშაულის დამთავრებას.⁶⁸

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერება სამართლიანად უარყოფს საკითისადმი ამგვარ მიდგომას და თვლის, რომ დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დამნაშავეს შეუძლია ხელი აიღოს, როგორც აქტიური, ასევე პასიური ქმედებით.⁶⁹

აქედან გამომდინარე შეგვიძლია მივიდეთ დასკვნამდე, რომ თუ დამნაშავე ქმედების მიზეზობრივ კავშირის განვითარებაში საკუთარი აქტიური მოქმედებით ცვლის მის მიზეზობრიობის განვითარებას, ადგილი აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას მოქმედებით.

6.3 ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი უარგისი მცდელობისას და ე.წ. ხელშეშლილი მცდელობის დროს.

ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, დანაშაულზე ხელის აღება მხოლოდ მაშინ ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს, როდესაც დამნაშავეს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვს. ერთი მხრივ, დამნაშავეს შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული დანაშაულებრივი საქმიანობა, ხოლო მეორე მხრივ მას შესაძლებლობა აქვს, უარი თქვას დანაშაულის ჩადენაზე.⁷⁰

რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც დამნაშავეს უნდა დანაშაულსი ბოლომდე მიყვანა, მაგრამ ფიქრობს, რომ ობიექტური გარემოებების გამო აღნიშნულს ვერ შეძლებს, მსგავსი შემთხვევა ვერ ჩაითვლება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად, რადგან მსგავსი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ნების გამოვლენის ნამდვილობა არღნიშნული კი წარმოადგენს უარგისი მცდელობას.

⁶⁸ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 357.

⁶⁹ იხ. ტურავა (2013), გვ. 317-318.

⁷⁰ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 358.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში „ ხელშეშლილი მცდელობის” სახელწოდებით მოიხსენიებენ შემთხვევას სადაც მცდელობაზე ხელის აღება შეუძლებელია.⁷¹

„ხელშეშლილ მცდელობასთან” დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობისაგან განსხვავებით, „ხელშეშლილ მცდელობაზე” ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია.⁷²

გერმანულ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკაში „ ხელშეშლილი მცდელობის” და ნებაყოფლობით ხელის აღების გამიჯვნის პრობლემატიკა საკმაოდ აქტუალურია. იმის დადგენას, რომ ქმედება „ხელშეშლილი მცდელობას” წარმოადგენს, დიდი პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია. მაგალითად, ადრეულ სასამართლო პრაქტიკაში, რომელიც ე. წ. ხელშეშლილი მცდელობის ცნებას არ იცნობდა და ამ შემთხვევას სხვა ტერმინით გამოხატავდა, მაგალითად, შემთხვევას სხვა ტერმინით გამოხატავდა, მაგალითად, „არანებაყოფლობით ხელის აღება” , ქმედებას ზოგჯერ „ხელშეშლილ მცდელობად” აკვალიფიცირებდა და ზოგჯერ ნებაყოფლობით ხელის აღებად აფასებდა, მაგალითად, ა. სურს სხვისი ეზოდან ბურთის მოპარვა. ამ მიზნით, ა. შევიდა ეზოში, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, როდესაც რეზინის ბურთის ნაცვლად, ხის ბურთი შერჩა ხელში. ა.-მ ხის ბურთი ისევ უკან დადო, რადგან მას მხოლოდ რეზინის ბურთის მოპარვა უნდოდა. ა. ქმედება სასამართლომ ნებაყოფლობით ხელის აღებად მიიჩნია, რაც გერმანული დოგმატიკის მხრიდან კრიტიკის ობიექტურად იქცა. ამ საკითხზე მეცნიერები მიუთითებენ, რომ ა.-ს ქმედებაში ადგილი ჰქონდა ე.წ. ხელშეშლილ მცდელობას და სასამართლოს იგი ქურდობის მცდელობად უნდა შეეფასებინა.⁷³

გერმანულმა სასამართლომ ასევე უარყო დ. ქმედებაში ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი შემდეგ შემთხვევაში: დ. სასწრაფოდ ესაჭიროებოდა 300 ევრო. ამ მიზნით, მან სხვისი შემნახველი სალარო გატეხა, მაგრამ სალაროში მხოლოდ 30 ევრო აღმოჩნდა. დ. 30 ევრო ხელი არ მოკიდა, ისე დატოვა იქაურობა. სასამართლო მსჯელობისას საინტერესოდ გამოყოფს ერთ მომენტს, კერძოდ, დ.-ს რომ მაშინვე არ დასჭირვებოდა 300 ევრო, არამედ მას უბრალოდ სდომებოდა ფულის მოპარვა და არ შეთხვევაში, მცირე თანხის გამო, უარი ეთქვა მის აღებაზე, მაშინ შესაძლებელი იყო, რომ დ.-ს ქმედებაში ადგილი ჰქონოდა

⁷¹ იხ. წერეთელი (1961), გვ. 225-526.

⁷² იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 358. – (პირველ წყარო - იხ. Wörner (2009), გვ. 290.)

⁷³ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 323 (პირველ წყარო - იხ. Roxin, NStZ (2009), გვ. 320.)

ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტს⁷⁴ და შესაბამისად, „ხელშემოწმებული მცდელობაც“ არ იქნებოდა სახეზე.⁷⁵

ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს შემდეგი აზრი, რომ დამნაშავეს მოქმედებას აუცილებელი არა გააჩნდნენ კეთილშობილური მიზნები და მოტივები, აქ საკმარისია, რომ დამნაშავემ ნებისმიერ თუმცა უბრალო მიზეზით უარი თქვას დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, რომლის განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა მას გააჩნია.

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როდესაც დამნაშავემ არ იცის, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანა ობიექტურად შეუძლებელია. მაგალითად, ა. მკვლელობის განზრახვით შევიდა ბ. საძინებელ ოთახში და განახორციელა გასროლა დაზარალებულის საწოლის მიმართულებით, მაგრამ შემდეგ ა.-ს პიროვნებაში სიბრაულის გრძობამ გაიღვიძა და შეეცადა ბ.-ს გადარჩენას. ამ მიზნით, მან სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა, თუმცა ექიმებმა დაადგინეს, რომ ბ. გასროლამდე რამდენიმე საათით ადრე გულის შეტევით გარდაიცვალა. მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია, ა გათავისუფლდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო. მაშასადამე, აქ, მთავარია, დამნაშავეს რწმენა იმის შესახებ, რომ მას შეუძლია დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, ამიტომ, თუ ხელის ამღებმა არ იცოდა, რომ იგი იმყოფებოდა უვარგისი მცდელობის სტადიაზე და ნებაყოფლობით აცხადებს უარს დანაშაულის შემდგომ განხორციელებაზე, გათავისუფლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო. ამასთან მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, თუ რამდენად სერიოზულად ცდილობს ხელის ამღები შედეგის თავიდან აცილებას. სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ იმაზე, რომ ხელის ამღებმა ძალა არ უნდა დაიშუროს იმისათვის, რათა შედეგი აიცილოს თავიდან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღებს „ უფლება არა აქვს არასაკმარისი ან სულაც ბრიყველი ღონისძებებით შემოიფარგლოს“.⁷⁶

გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობისგან განსხვავებით ქართული სამართალი, პირდაპირ არ მიუთითებს „ ხელშემოწმებული მცდელობის“ დასჯადობასთან დაკავშირებით, მაგრამ სსკ-ის 56-ე მუხლი იძლევა ზოგად რეგულაციებს, რომელიც,

⁷⁴ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 359 (პირველწყარო იხ. BGHSt 4, გვ. 56-60).

⁷⁵ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 359 (პირველწყარო იხ. Koch-Schlegtendal (2012). გვ. 52.).

⁷⁶ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 360-361. (პირველ წყარო - ვესელსი , ბოილკე (2010), გვ. 381-382)

შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მსგავს შემთხვევებში, ქართული სისხლი სამართალი მიუთითებს იმაზე, რომ „სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი”.

აქედან გამომდინარე თუ სახეზე „ხელშეშლილი მცდელობა” ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხებულია. მაგრამ თუ „ხელშეშლილი მცდელობა” არ არის სახეზე, მაშინ დასადგენია დანაშაული დამთავრებული მცდელობის სახით არსებობს თუ დაუმთავრებელი.

„ხელშეშლილი მცდელობის” დახასიათების დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს დამნაშავის წარმოდგენაზე, სუბიექტურად მის წარუმატებლობაზე და არა დანაშაულის დამთავრების ობიექტურ შეუძლებლობაზე.⁷⁷

აქედან გამომდინარე, „ხელშეშლილი მცდელობაზე” ნებაყოფლობით ხელის აღების გამორიცხვის წინაპირობებისათვის არსებითი ის, რომ დამნაშავის სუბიექტური თვალსაზრისით, მცდელობა წარუმატებელ ხასიათს ატარებს. სუბიექტურად, მცდელობის წარუმატებლობა მხედველობაში მიიღება, უპირველეს ყოფლისა, შემდეგ შემთხვევებში:

ა) დანაშაულებრივი მიზნის მიუღწევლობა. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელია, რადგან სასურველი ობიექტი თავიდანვე არ არსებობს, (მაგალითად, როდესაც დამნაშავე ცარიელ ჯიბეში ხელს ჩაიყოფს, ანდა დაზარალებული შემთხვევის ადგილზე არ გამოჩენილა ან იმალება), ან დამნაშავე დაზარალებულის წინაშე გარკვეულ სისუსტეს, შიშს განიცდის და იწყებს კანკალს, დაზარალებულის მოულოდნელი გამოჩენა მასში პანიკას და დაბნეულობას იწვევს, ასევე ცალკეული დანაშაულის საშუალებები უვარგისი აღმოჩდება (მაგალითად, ბომბი არ აფეთქდა, სეიფი არ გაიჭრა). შესაძლებელია, ასევე ადგილი ჰქონდეს მესამე პირების ჩარევის ფაქტს, რის საფუძველზეც დამნაშავე შედეგის გამოწვევას შეუძლებლად მიიჩნევს. ამის შესაბამისად, წყდება საკითხი მაშინ, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება სამართლებრივად შეუძლებელია.⁷⁸

ბ) დანაშაულებრივი გეგმის წარუმატებლობა. ეს იმ შემთხვევებს მოიცავს, სადაც, მაგალითად, დანაშაულის განხორციელება სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ამით დასახული მიზანი არ მიიღწევა. მაგალითად, დანაშაულის ობიექტი, იდენტურობაში შეცდომის ან გაურკვევლობის გამო, დანაშაულებრივ გეგმას არ შეესაბამება. მაგალითად, დამნაშავემ გამოიზნული ობიექტის ნაცვლად, შეცდომით, ამ უკანასკნელის მეგობარი გააუპატიურა, ანდა როდესაც ქურდობის დროს ნივთს დაზიანების გამო, დაკარგული აქვს

⁷⁷ იხ. ხარანაული ლ. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწვდვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 318 (პირველ წყარო - იხ. Heger, StV (2010), გვ. 320.)

⁷⁸ იხ. Schönke, Schröder, Eser (2010), გვ. 437-438.

ყველანაირი ღირებულება, ან როდესაც დასაყაჩაღებელი დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია.⁷⁹

6.4 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შუალობითი ამსრულებლობის დროს.

სისხლის სამართლის კოდექსი 22 -ე მუხლი იძლევა დანაშაულის ამსრულებლის დეფინიციას და ამბობს, რომ გარდა იმ პირისა, რომელმაც უშუალოდ ან სხვა თანამონაწიელსთან ერთად ჩაიდინა დანაშაული ამსრულებელი ასევე არის პირი რომელმაც „ დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.“⁸⁰

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ ნებაყოფლობით ხელის აღების, როგორც ობიექტურად განსახიერებელ ქმედებათა ერთობლიობის, აქაც აუცილებელია შუალობითმა ამსრულებელმა აქტიური მოქმედებებით თავიდან აიცილოს მართლსაწინააღმდეგო შედეგი , მხოლოდ იმის თქმა, რომ შუალობით ამსრულებელს აღარ აქვს სურვილი ჩაიდინოს დანაშაული საკმარისი არ არის, აუცილებელია ის გაისარჯოს იმაზე უფრო მეტადაც, რომ თავიდან აიცილოს დანაშაული ვირე დანაშაულის ჩადენისას დასჭირდებოდა მას.

ქართველი მეცნიერი ქეთევან მჭედლიშვილიც სწორედ ამ მოსაზრებას ეთანხმება თავის ნაშრომში და მიუთითებს, რომ „ შუალობითი ამსრულებლობისას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ასაღებად შუალობითი ამსრულებლის აქტიური მოქმედება საჭირო” და მოჰყავს შემდეგი მაგალითები,

1. პეტრეს ცოლს თავისი ავადმყოფი დედამთლილის მოკვლა სურს. იგი ამ მიზნით მოწამლულ საჭმელს დაუტოვს პეტრეს, რომელმაც ცოლის მზაკვრობის ამბავი არ იცოს და სთხოვს მას, ავადმყოფს სადილი მალე აჭამოს, თავად კი სამსახურში წავა. სანამ სადილის დრო მოვა ქალს სინდისი დაჰქენჯნის, მაგრამ იგი, დიდი მეცადინეობის მიუხედავად, პეტრეს ვერ დაუკავშირდება, პეტრე დედას საჭმელს აჭმევს და მოხუცი გარდაიცვლება.⁸¹

⁷⁹ იხ. Schönke, Schröder, Eser (2010), გვ. 438.

⁸⁰ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 22, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

⁸¹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,“ 2011 გვ 111 .

აღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს დანაშაულის შუალობით ამსრულებლობას როდესაც პეტრეს ცოლმა პეტრეს მეშვეობით ჩიადინა სსკ-ის 109 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული რისთვისაც იგი აგებს პასუხს შეასბამსი კვალიფიციური შემადგენლობის გამო.

აქვე ქეთევან მჭედლიშვილი ყურადღებას ამახვილებს საკმაოდ საინტერესო საკითხს, როგორ დაკვალიფიცირდებოდა ზემოთ მოვანილი შემთხვევა ისეთ ვითარებისას, როდესაც პეტრეს ცოლი შეძლებდა პეტრეს გაფთხილებას და მიუხედავად ამისა პეტრე მაინც აჭმევდა და მოკლავდა დედამისს ?

აღნიშნულ საკითხზე მეცნიერ მიუთითებს, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულების განვითარება.

1. შუალობითი ამსრულებლობა გამორიცხება, რადგან საქმის გარემოებაში გარკვეულმა შერაცხადმა პირმა, რომელიც აღარაა მოტყუებული „ცოცხალი იარაღი“,გადამრჩენი მიზეზობრიობა გაწყვიტა და „საკუთარი“ მიზეზობრიობა დააფუძნა. დაისჯება მხოლოდ ის განზრახ მოქმედი შერაცხადი პირი, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი განზრახ გამოიწვია (ამ შემთხვევაში - პეტრე)⁸²

2. სწორი შეხედულების თანამხად, შუალობითი ამსრულებელი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის ვალდებულია წაქეზების მსგავსად დანაშაულის განხორციელებას აქტიურად შეუშალოს ხელი თუ საქმის გარემოებაში გარკვეული შერაცხადი პირი, რომელიც უკვე აღარაა მოტყუებული „ ცოცხალი იარაღი“ , საკუთარ მიზეზობრიობას დააფუძნებს შუალობით ამსრულებლს შედეგი შეერაცხება როგორც წამქეზებელს) სსკ 20-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 108-ე მუხლები). აქვე მეცნიერი უთითებს შენიშვნას რომ აღნიშნულ შეხედულებას უმოქმედობით წაქეზების აღიარებამდე არ მივყავათ, რადგან გამომდინარე არგუმენტაციის წესიდან argumentum a minore ad maius - დასკვნა „მცირედან“ „მეტისკენ“ (ანუ თუ აკრძალულია მცირე, მით უფრო აკრძალული უნდა იყოს მეტი) შუალობითი ამსრულებელი ვალდებულია ისევე როგორც წამქეზებელი (სსკ -210ე მუხლის მე-3 ნაწილი) ხელი შეუშალოს დანაშაულის განხორციელებას თუ მან ეს ვერ შეძლო, იგი შედეგისთვის აგებს პასუხს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცდა სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებად ჩაითვლება.⁸³

ასევე საინტერესოა შემთხვევა, როდესაც მოტყუებული „ცოცხალი იარაღი“ უარს ამბობს დანაშაულის ჩადენაზე ნებით თუ უნებლიედ, მსგავს შემთხვევაზე ქ.მჭედლიშვილი მიუთითებს, რომ „ ცოცხალი იარაღის“ მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შუალობით ამსრულებელს არაფერს რგებს, იგი დანაშაულის მომზადების ან

⁸² მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,“ 2011 გვ 112.

⁸³ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,“ 2011 გვ 111 – 112.

მცდელობისათვის დაისჯება, იმის მიუხედავად, თუ რა ეტაპზე აიღო ხელი „ ცოცხალმა იარაღმა” დანაშაულის ჩადენაზე.⁸⁴

6.5 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას ქმედითი მონაწილის საკითხი.

სსკ-ის 68-ე მუხლის სისხლი სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს დამნაშავეს ქმედითი მონაწილის გამო აღნიშნული მუხლით კანონმდებელი ამბოს შემდეგ. „ ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი.”⁸⁵

ამ მუხლის 1-ლი ნაწილით პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში თუ დანაშაული, რომელიც ჩაიდინა ითვალისწინებს სამი წლით თავისუფლების აღკვეთას და დამნაშავე საკუთარი ნებით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო აღნიშნული დანაშაულის გახსნას და ზიანი სურალად აანაზღაურა .

სამეცნიერო ლიტერატურაში ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებლად მიიჩნევა შეკვეცილ დელიქტებში, სადაც დანაშაულის მომზადება და მცდელობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება . მაგალითად ბანდიტიზმის შემადგენლობაში კანონმდებელი დანაშაულს დამთავრებულად აცხადებს მომზადების სტადიაზე.

სსკ - ში გვაქვს ნორმები ე. წ. წამახალისებელ, რომლებიც პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებენ დამნაშავეს, რომლებიც ბრალის აღიარებით ცხადებიან და ინანიებენ დანაშაულს , მაგალითად მუხლი 236. ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა)), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება აღნიშნულ მუხლს თან ახლავს კანონმდებლის შენიშვნა, რომელიც პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს „ ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ამ მუხლით გათვალისწინებულ საგნებს, გათავისუფლდება

⁸⁴ მქედლიშვილი-ჰედრიხი ქ. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,“ 2011 გვ 111 – 112.

⁸⁵ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 68, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.”⁸⁶

გერმანულ ლიტერატურაში არაერთი აზრია ქმედითი მონანიების სამართლებრივ ბუნებაზე. ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, ქმედითი მონანიება „დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაა” ფორმალურ დანაშაულებში და საფრთხის დელიქტებში, ნაწილი კი ქმედით მონანიებას დამთავრებული მცდელობის დროს დანაშაულებრივ შედეგის აქტიურ ქმედებით თავიდან აცილებას, ანუ დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას უწოდებს. ამათან სადაოდ ითვლება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენადა შესაძლებელი ქმედითი მონანიების ინსტიტუტის ანალოგია კერძო ნაწილში გათვალისწინებული იმ ფორმალური დელიქტებისთვის, რომლებიც ქმედითი მონანიების ინსტიტუტს არ ითვალისწინებენ.⁸⁷

6.6 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ხელის აღების სერიოზული მცდელობისას

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას შესაძლებელია მიუხედავად დამნაშავის სერიოზული მცდელობისა თავიდან აიცილოს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ეს ვერ მოხერხდეს, რადგან მის მიერ უკვე განხორციელებული უმართლობის ნაწილი სხვა პირის ჩარევის შედეგად შეწყდეს და არა დამნაშავის მიერ უკვე შემდგომ განხორციელებული მცდელობის შედეგად.

ქართველი სამართლის მეცნიერები მიუთითებენ, რომ დამნაშავის სერიოზული მცდელობა აიცილოს თავიდან მართლსაწინააღმდეგო შედეგი სასურველია გაუთანაბრდეს და ჩაითვალოს ნებაყოფლობით ხელის აღებად თუ:⁸⁸

1. თუ მცდელობა, მართალია, დანაშაულებრივია, მაგრამ იგი არაა ხელშეშლილი.
2. დანაშაული არა დამთავრებული.
3. პირი სერიოზულად და ნებაყოფლობით ცდილობს დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას.

დანაშაულზე ხელის აღების მცდელობა მაშინაა სერიოზული, როდესაც იგი ობიექტური დამკვირვებლისათვის აბსოლიტურად დამაჯერებელია, ანუ მაშინ, როდესაც აშკარად

⁸⁶ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 236, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

⁸⁷ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,” 2011 გვ 118-119.

⁸⁸ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,” 2011 გვ 119.

ცხადია, რომ თუ სხვა ადამიანი მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში არ ჩაერთობოდა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს თავიდან არ აიცილებდა, პირის ქმედება ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად სრულიად საკმარისი იქნებოდა. იმისათვის, რომ პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლდეს, მან მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა უნდა ამოწუროს.⁸⁹

როგორც წინა თავებში ვისაუბრეთ დამნაშავეის დასჯის მიზანია საამართლიანობის აღდგენა დამნაშავეის რესოციალიზაცია და რიაბილიტაცია ასევე ახალი დანაშაულის თავიდან აცილება , აქედან გამომდინარე შემთხავა, როდესაც პირმა ყველა მის ხელთ არსებული რესურსი გამოიყენა მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან ასაცილებლად ანუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სერიოზული მცდელობა ჰქონდა კრიმინალპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ვფიქრობ პირის დასჯა და მისი პასუხისგებაში მიცემა აზრს მოკლებულია.

გამომდინარე აქედა სსკ 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი ფართო უნდა იყოს გაგებული და იგი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სერიოზულ მცდელობაზეც უნდა გავავრცელოთ, როგორც ამას პროფესორი ქეთევან მჭედლიშვილიც მიუთითებს.⁹⁰

აღნიშნული საკითხის პრეცედენტი კანონმდებლობაში არსებობს, გერმანიის კანონმდებელი ამგვარ დათქმას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ პირდაპირ საკანონმდებლო აქტშივე მიუთითებს.

6.7 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი დანაშაულის პროვოკაციის დროს

საქართველოს სსკ -ის 145 მუხლი (დანაშაულის პროვოკაცია) დასჯად ქმედებად აცხადებს პირის მიერ ჩადენილ ქმედებას, დანაშაულის პროვოკაციას , რომელიც გულისხმობს შემდეგს „ დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით“⁹¹

⁸⁹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,“ 2011 გვ 120.

⁹⁰ ⁹⁰ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,“ 2011 გვ 120

(ბოლო აბზაცი)

⁹¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 145, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

აღნიშნული ქმედების სოციალური სასიშროება იმაში მდგომარეობს. რომ დანაშაულის ამსრულებელი არამარტო თვითონ ახორციელებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას არამედ სხვას საკუთარი ზეგავლენის, სხვადასხვა პირობების განზრახ შექმნით, მოტყუებით, ქმნის პირობებს, რომლის გამოც სხვა მესამე პირი „პროვეცირებული“ სჩადის შემდგომ უკვე სსკ - ით გათვალისწინებულ, რომელიმე დანაშაულს რის გამოც მას ელის პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი , ამ დანაშაულში ამსრულებლის მთავარი მიზანი არის პროვოცირებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, მისი დანაშაულში მხილება სამართალდამცავ ორგანოებში, აღნიშნული მიზნის გარეშე ეს დანაშაული არ არსებობს.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე ვფიქრობ საინტერესოა აღნიშნული ქმედების ამსრულებლის პროვოკატორის მიერ ამ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადების შესაძლებლობს საკითხი.

სისხლის სამართალში ყოველთვის პრობლემური იყო და არის წამქეზებლის და აგენტ-პროვოკატორის ფიგურის ურთიერთგამიჯვნის საკითხი.⁹²

ადრე ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დანაშაულის პროვოკაციას დანაშაულში წამქეზებლობად აკვალიფიცირებდნენ და ამდენად, პროვოკაციის საკითხი თანამონაწილეობის წესების მიხედვით წყდებოდა.⁹³

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკა ამ საკითხს განსხვავებულად აფასებს. დანაშაულის პროვოკაციის დროს გამოიყენება ე წ. ფიქციის მეთოდი, რომლის თანახმად, პროვოკატორი,მართალია, ფაქტობრივად წამქეზებელია, მაგრამ იურიდიულად იგი პროვოკაციის ამსრულებელია.⁹⁴

წამქეზებლის და პროვოკატორის გამიჯვნის დროს ვფიქრობ მნიშვნელოვანია თანამონაწილეობის აქსეორული ბუნებიდან ვეძიოთ ამოსავალი, რამეთუ თანამონაწილეობის აქსეორულობა გულისხმობს ამ შემთხვევაში შემდეგს, რომ პროვოკატორი ვერ იქნება თანამონაწილე რადგან მათი დანაშაულებრივი ქმედებები მიბმულია ერთმანეთზე და მიზეზობრივ კავშირშია, მაგრამ მათ განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ და შესაბამისად სახეზე სხვადასხვა დანაშაული. ამ შემთხვევაში პროვოკატორს განსხვავებით წამქეზებლისაგან არ სურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა.

⁹² იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 366 .

⁹³ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 366 . (პირველ წყარო - ix. mayaSvili, tyeSeliaZe (1964), gv., 212-213.)

⁹⁴ იხ. ხარანაული ლ . დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 366 - (პირველ წყარო - ix. naWyebia (2011), gv. 131-132).

შესაბამისად ამ საკითხის თანმონაწილეობის წესების შესაბამისად გადაწყვეტა ვფიქრობ არასწორია და მართებული იქნება პროვოკატორის როგორც ცალკე სამართლებრივი ბუნების მქონე მოვლენის აღიარება.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს სამართლებრივ ხარვეზს სსკ-ის 145 მუხლში რომელზეც სამართლის მეცნიერები ხშირად მიუთითებენ, 145-ე მუხლის სანქციით კანონმდებელი გვეუბნება რომ აღნიშნული ქმედება ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს „ისჯება შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე”,⁹⁵ სასჯელის ეს ზომაა გათვალისწინებული ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევაში რაც ჩემი აზრით ხარვეზია სსკ-ის ამ მუხლში და შესწორებას საჭიროებს, რადგან ნალეზად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის წაქეზება ვფიქრობ მოითხოვს განსხვავებულ სასჯელსაც , რაც თავის მხრივ ამ ჭირლში ნებაყოფლობით დანაშაულზე ხელის აღების შანსებსაც გაზრდის რამეთუ ამსურლებელზე ყოველთვის მოქმედებს კანონის სიმკაცრე.

როგორც ზემოთ ნებაყოფლობითი ხელის აღების სამართლებრივი აგებულების გარჩევისას ვისაბურეთ ამ ქმედების არსებობა შესაძლებელია დანაშაულის მომზადების ან მცდელობის დროს, შესაბამისად დანაშაულის პროვოკაციაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის არსებობაც დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად შესაძლებელია ამსრულებლისთვის ამ დანაშაულის მომზადება ან მცდელობა.

აღნიშნული საკითხის გარკვევისათვის ვფიქრობ მნიშვნელოვანია 145-ე მუხლის დისპოზიციის სწორი ანალიზი, კანონმდებლის საკანონმდებლო ენის ზუსტი გაანალიზება , 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული აქტიურ მოქმედებას გულისხმობს ანუ ამსრულებელი იყოლიებს და პირს ადენინებს დანაშაულს რის გამოც შემდგომ მას ამსრულებლის მხრიდან მხილება და პასუხისმგებლობა ელოდება. გამომდინარე იქიდან, რომ ეს დანაშაული აქტიურ მოქმედებას მოითხოვს და მოქმედება, როგორც ასეთი ქმედებათა ჯაჭვიც შეიძლება იყოს ვფიქრობ დასაშვებია მისი მომზადების სტადიის დაშვება, რამეთუ კონკრეტული ქმედების ჩადენის მომზადება შეიძლება ყოველთვის იქნეს ამსრულებლის მიერ მომზადებული მაგალითად ა.-მ გაამზადა ყალბი ვიდეო ჩანაწერი თუ როგორ აუპატიურებდა ბ. მისი მეზობლის გ.-ს ცოლს და გაამზადა გ.-სთვის საჩვენებლად იმ განზრახვით რომ გ, მოკლავდა ბ და შემდგომ გ-ს , ა დასსმენდა სამართალდამცავ ორგანოებში, დანაშაულის მომზადება თავის თავში გულისხმობს დანაშაულის ჩასადენად პირობების წინასწარ შექმნას შესაბამისად ნებისმიერი პირობა რომელიც შემდეგ ობიექტურად მიუთითებს შესაძლო დანაშაულის მცდელობაზეც კი ჩაითვლება დანაშაულის მომზადებად შესაბამისად ზემოთ მოყვანილ მაგალითში ა.-ს შეუძლია მცდელობის სტადიაზე ხელი აიღოს დანაშაულზე განადგუროს აღნიშნული ჩანაწერი

⁹⁵ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 145, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

რითაც შექდება მისი დანაშაულებრივი ქმედება და დაუბრუნდება ლეგიტიმურ ჩარჩოებს. ასევე დასაშვებია, რომ აღნიშნულ დანაშაულს ჰქონდეს მცდელობა. მცდელობა გვექნებოდა სახეზე თუ ვიდეო ჩანაწერს ა. გაგზავნიდა გ.-თან, მაგრამ მის მიღებას პოლიცია შეაჩერებდა. აღნიშნული დანაშაული დასრულებულად ითვლება ამსრულებლის მიერ მხილების შემდგომ, მაგრამ ეს უკვე ბოლომდე მიყვანილი დანაშაულია, დასრულებულია რაზეც დამნაშავეს ხელის აღების შესაძლებლობა არ გაჩნია.

ამ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურაში არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებები და ზოგიერთი თეორეტიკოსები მიუთითებენ, რომ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ ე. წ. პოსტკრიმინალური წამახალისებელი ნორმების შემოღებით შეიძლება მოხდეს, ნორმის რომელიც უკვე დასრულებული დანაშაულის შემდგომ შეუმსუბუქებს ამსრულებელს დანაშაულის სიმძიმეს.

ზოგჯერ არის შემთხვევები როდესაც დაყოლებული პირი ჩადის ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადებას, რომელიც შეიძლება სულაც არ იყოს დასჯადი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მაშინ ჩნდება კითხვა თუ პირი, რომელიც პროვოკატორმა დაიყოლია დანაშაულის ჩადენაზე არ დაისჯება, უნდა დაისაჯოს თუ არა პროვოკატორი, პროვოკაციისთვის? ჩემი აზრით არა რამეთუ კანონმდებელი მიუთითებს 145-ე მუხლში, რომ ქმედება პროვოკაციაა მაშინ, როდესაც ამსრულებელი დაიყოლიებს პირს ქმედების ჩადენაში ანუ მასზე მოახდენს ფსიქოლოგიურ გავლენას, მაგრამ, როდესაც დაყოლებული ხელს იღებს დანაშაულის ჩადენაზე მომზადების სტადიაზე მაშასადამე ის გამოსულია პროვოკატორის გავლენისგან რადგან ხელის აღება ნებაყოფლობითი ხასიათის ქმედება სადაც გამორიცხულია სხვა გარეშე პირის გადაწყვეტილების არსებობა. გამომდინარე აქედან ვფიქრობ ასეთ შემთხვევაში პროვოკატორის პასუხისმგებლობას გამორიცხავს არა მის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე არამედ დაყოლებული, პროვოცირებული პირის მიერ დანაშაულის მომზადების სტადიაზე ხელის აღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მინიმუმ აუცილებელია კანონმდებელმა პროვოკატორს მიანიჭოს უფლება, ჰქონდეს შესაძლებლობა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მანამ ვიდრე დამნაშავე მცდელობის სტადიაზე არ მიაღწევს, მაგრამ იმაზე მსჯელობა, რომ დამთავრებული მცდელობის შემდგომაც შესაძლებელია პროვოკატორს ჰქონდეს ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა ვფიქრობ შესაძლებელია.

6.8 დანაშულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ერთიან დანაშუალებში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის IV თავში მოცემულია ერთიანი დანაშუალები, ერთიანი დანაშაულად ითვლება სსკ-ის 13-ე და 14-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები, რომლებიც დასჯადად აცხადებს დენად და განგმობად დანაშაულებს.

დენადი და განგმობადი დანაშაულები პრაქტიკაში საკმაოდ საინტერესოა, მისი კვალიფიკაციის მხრივ შესაბამისად აღნიშნული დანაშაულებზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხიც ასევე საინტერესოა.

სისხლის სამართლის მეცნიერება განგმობად დანაშაულებში ნებაყოფლობით ხელის აღებას დასაბუთებას შეუძლებლად მიიჩნევს იმის გამო, რომ აღნიშნული დასრულებულ დელიქტად ითვლება მისი პირველივე აქტის განხორციელებისთანავე.

განგმობადი დანაშაული ჩადენილად ითვლება უკანასკნელი აქტის განხორციელების მომენტიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ განგმობადი დანაშაულების განხორციელების დროს იკვეთება იურიდიული დამთავრებისა და ფაქტობრივი დასრულების ეტაპები. ამიტომ, მიზანშეწონილია, იურიდიულად დამთავრების მიუხედავად, ფაქტობრივად დასრულებულად დამნაშავეს მიეცეს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლება, რაც სრულად პასუხობს ჰუმანურობისა და სამართლიანობის პრინციპების სულისკვეთებას და ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებს. მაგალითისათვის, შესაძლებელია, ასეთი შემთხვევა დასახლდეს: ა. სურს ბიბლიოთეკის საცავებიდან უნიკალური ენციკლოპედიის ატომეულის მოპარვა. ამ დანაშაულის განხორციელების მიზნით, მან განიზრახა თითო დღეს თითო ტომი მოიპაროს. ა.-მ სამი დღის განმავლობაში ენციკლოპედიის სამი ტომი მიპარა. მეოთხე დღეს, როდესაც მას განზრახული ჰქონდა შემდგომი ტომის მოპარვა, გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და სამივე ტომი ბიბლიოთეკას დაუბრუნა.⁹⁶

გაბატონებული პოზიციის თანახმად, ა. ქმედება ნებაყოფლობით ხელის აღებად ვერ ჩაითვლება და მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს, მხედველობაში მიიღება, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, რადგან თავად ქმედითი მონაწილის ინსტიტუტის გამოყენებისათვის არსებობს რიგი შეზღუდვები.⁹⁷

⁹⁶ იხ. ხარანაული ლ. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ხემწიღვანელი:მერაბ ტურავა სადისერტაციო ნაშრომი გვ 365.

⁹⁷ იხ. იქვე, გვ 365.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურად იბადება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რატომ არ უნდა მიეცეს პირს მოცემულ შემთხვევაში ჩაფიქრებულ დანაშაულებრივ ქმედებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების უფლება. მაგრამ, თუ სამართალშემფარდებელმა აღიარა, რომ დანაშავემ მოცემულ სიტუაციაში უნდა ისარგებლოს ამ უფლებით, რამელი ნორმებით უნდა იხემდღვანელოს მან, მაშინ, როდესაც სსკ-ის 21-ე მუხლი ასეთ შემთხვევებს პირდაპირ არ არეგულირებს? ⁹⁸

აღნიშული ჩემი აზრით წრმოადგენს ხარვეზს კანონმდებლობაში და საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებას.

დენად დანაშაულებზე ხელის აღების საკითხი ლიტერატურაში აღიარებულია, როგორც შესაძლებელი მხოლოდ მომზადების სტადიაზე.

6.9 კვალიფიციურ შემადგენლობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას კვალიფიციურ შემადგენლობაზე ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დანაშავე კვალიფიციაციაზე ხელს იღებს და მხოლოდ ძირითად შემადგენლობას ასრულებს. ამგვარ შემთხვევაში სსკ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირი პასუხს მხოლოდ დანაშაულის ძირითადი შემადგენლობისა და მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი სხვა ქმედებისათვის აგებს. მაგალითად: პირი მკვლელობის განზრახვით სამ კაცს დაჭრის, ქმედების განხორციელებისთანავე მას სინანულის გრძნობა შეიპყრობს და სასწრაფოს გამოიძახებს. სამივეს უმაღვე საავადმყოფოში გააქანებენ, ერთი დაჭრილთაგანი გარდაცვივლება, დანარჩენი ორი კი ორ კვირაში სრულად გამოჯამრთელდება. ქმედება დაკვალიფიცირდება არა, როგორც მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში (სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტი), არამედ. როგორც განზრახ მკვლელობა (სსკ 108-ე მუხლი), რადგან პირმა დამამძიმებელ გარემოებაზე - ორი ან მეტი პირის მკვლელობაზე ნებაყოფლობით აიღო ხელი. ამასთანავე პირს შეეფარდება სსკ 120-ე მუხლიც (ჯამრთველობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), რადგან მან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებისათვის უნდა აიღოს (სსკ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში ოთ ძირითად სახეს გამოყოფენ ესენია :

⁹⁸ იხ. იქვე , გვ 365.

1. როდესაც ადგილი აქვს ძირითადი ქმედების მცდელობას, ხოლო თანამდევი შედეგი გაუფრთხილებლობით ხორციელდება.
2. როდესაც ძირითადი ქმედების მცდელობისას შედეგი განზრახ დგება.
3. როდესაც ძირითადი დელიქტი დამთავრებულია და თანამდევი შედეგი არ არის სახეზე. ამასთან, პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია იმის განსხვავებას, ძირითადი დელიქტი დამთავრდა, თუ მცდელობის სტადიაზე შეწყდა.
4. როდესაც ადგილი აქვს ძირითადი ქმედების მცდელობას და თანამდევი შედეგი არ ხორციელდება.

გამომდინარე აქედან შესაძლებელია ნებაყოფლობით ხელის აღება კვალიფიციურ შემადგენლობაზე და კვალიფიციური შემადგენლობის ამსრულებელს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სსკ-ის 21-ე მუხლით.

დასკვნა

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტის, წარმოადგენს კანონმდებლის ერთგვარ სჩუქარს, როგორც დამნაშავე-ვისთვის უკან

დახვევის გზაზე, ასევე სახელმწიფოსთვის საკუთარი კანონმდებლობის ლიბერარიზაციის გზაზე.

აღნიშნული ნაშრომის შედგენისას, შესაბამისი ლიტერატურის გაცნობის ასევე სასამართლო პრაქტიკის და დოგმატურ-სამართლებრივი თეორიების შესწავლის შემდეგ შეგვიძლია ამ თემაზე დასკვნის შემდეგნაირად ჩამოყალიბება, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოადგენს „ოქროს ხიდს“ დამნაშავეთათვის და ასევე „ოქროს შესაძლებლობას“ სახელმწიფოსათვის თავიდან აიცილოს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, განადგურება. აღნიშნულით კანონმდებელი არამარტო დანაშაულს და შესაბამის შედეგის იცილება ხდება, არამედ ამავედროულად მძიმე სოციალურ-ფსიქოლოგიურ შედეგებს აცილება საზოგადოებაში და კონკრეტული ადამიანების ფსიქიკასა და ცხოვრებაში, აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახში ჩადენილ დანაშაულების დროს.

ნაშრომში ჩამოყალიბებული და შესაბამის ლიტერატურაში არსებული მსჯელობებიდან გამომდინარე აღნიშნული წარმოადგენს სასჯელისაგან განთავისფულების პერსონალურ საფუძველს, რამეთუ მისი შერაცხვის საკითხი სწორედ, რომ პერსონალურად წყდება, ამასთანავე კანონმდებელიც აღნიშნულ მუხლს აქცევს დაუმთავრებელი დანაშაულების თავში და არა სხვა შესაბამისი თავში, რომელიც გამორიცხავს ბრალს ან მართლწინააღმდეგობას, ჩემი აზრით აღნიშნული ვერ იქნება ბრალის ან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხაველი გარემოება თავისი ბუნებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაშრომის შედგენისას სხვადასხვა ქართველი მეცნიერების მიერ საკმაოდ დიდი და ფართო შრომა გაეწეული ნებაყოფლობით ხელის აღების სამეცნიერო კუთხით სრულად შესწავლისთვის, ჩვენ კანონმდებლობას მაინც გაჩნია გარკვეული ხარვეზები, რომლებიც საკმაოდ კარგადაა განმარტებული გერმანულ კანონმდებლობაში, გამომდინარე აქედან ვფიქრობ ქართული სასამართლო პრაქტიკა გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში დასახვეწია და ამასთანავე ძალიან მწირია.

ნებაყოფლობით ხელის აღების კვალიფიკაცია საკმაოდ რთულია, რადგან გასათვალისწინებელია საკმაოდ ბევრი დეტალი, რომელიც ჯაწვურად ებმის ერთმანეთს და ერთი რგოლის არარსებობა არღვევს ქმედების სუბიექტურ და ობიექტურ სისტემას რაც შემდგომ უკვე გამორიცხავს მის არსებობას დამნაშავის ქმედებაში.

ქართული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე ვფიქრობ ქართული სასამართლო საკმაოდ ზუსტად ახდენს ქმედები ნებაყოფლობით ხელის აღებად კალიფიცირებას ან ქმედების კვალიფიცირებაზე უარს მიუხედავად მწირი სამართლებრივი ქეისებისა, გამომდინარე აქედან ის ხარვეზები, რომლებიც არსებობს კანონმდებლობაში ამ კუთხით გამოწვეულია სწორედ, რომ მწირი სამართლებრივი პრაქტიკიდან და არა მუხლის არასწორი სამართლებრივი გამოყენებიდან.

ნორმატიული მასალა

1) საქართველო სისხლის სამართლის კოდექსი.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი „ დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები” თბილისი 2011 წ.
- 2) წერეთელი თინათინი „ დანაშაულის მომზადება და მცდელობა “ თბილისი 1961 წ.
- 3) ხარაული ლევანი. , დისერტაცია, „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით” - ხემძღვანელი მერაბ ტურავა.
- 4) გამყრელიძე ო. სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბილისი 2013 წ.
- 5) დონჯაშვილი თ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის - ზოგადი ნაწილის კომენტარები, თბილისი 2002 წ (შოთა ფაფიაშვილის რედაქციით).
- 6) ტურავა მ. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის კომენტარები , თბილისი 2013 წ.
- 7) სულუქვაძე დ. სადისერტაციო ნაშრომი „ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება” თბილისი 1992 წ.
- 8) გვენეტაძე ნ. თბილისი 1994 წ.

გამოყენებული სამართლებრივი ჟურნალები

- 1) დვალიძე.ი ჟურნალი „ალმანახი” საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა გამომცემლობა, N19 თბილისი 2004წ.

სასამართლო გადაწყვეტილებები

- 1) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე #1284-აპ-08 , თარიღი 4 მარტი, 2009 წ, ქ.თბილისი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე 2009 წელი N9 , ზოგადი და კძერძო ნაწილი)
- 2) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება - საქმე №1/923-19.
- 3) თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №- /1----18)